

სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარიამ ბესიაშვილი

მსაზღვრელ-საზღვრული ქართლურში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ კობერიძე

გორი

2019

ანოტაცია

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი მსაზღვრელ-საზღვრულის ქართულ დიალექტში შესწავლისა და ანალიზის ცდაა. დიალექტებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სალიტერატურო ენის განვითარებასა და გამდიდრებაში. ამიტომ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულის კვლევა დიალექტურ ტექსტებში დადასტურებული საანალიზო მასალების საფუძველზე.

ნაშრომის მიზანია ქართულ დიალექტში მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული მასალების მოპოვება, შესწავლა და კვლევა.

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული თავისებურებების გამოვლენა კილოკაური ნაირსახეობებისა და ხეობების მიხედვით ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარების გზით.

საკვლევი საკითხი გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ აღწერითი და შედარებითი მეთოდის გამოყენებით.

აღწერითი მეთოდის გამოყენებით გამოვყავით მსაზღვრელ-საზღვრულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და მისი გადმოცემის საშუალებები.

შედარებითი მეთოდით, შეძლებისდაგვარად, ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები, თითოეული მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა, მართულ-შეთანხმებული და ემფატიკურხმოვნაანი მსაზღვრელი ერთმანეთს შევუდარეთ ქართული დიალექტის კილოკავებსა და ხეობების მიხედვით სხვადასხვა დიალექტოლოგიური ექსპედიციების დროს ჩაწერილ ტექსტებს, ჩვენს მიერ მოძიებულ საილუსტრაციო მასალებსა და სალიტერატურო ქართული ენის მონაცემებს. აღნიშნული საკითხები ნაშრომში ცალკე თავებად და ქვეთავებად არის წარმოდგენილი.

Determinant-Determined in Georgian

Annotation

The given master's thesis is an attempt of study and analysis determinant-determined in the Kartlian dialect. Dialects play an important role in the development and enrichment of literary language. Therefore, the actual issue is the research of the determinant-determined based on the analyze materials proved in the dialectical texts.

The purpose of the thesis is to obtain, study and research materials connected with the determinant-determined in the Kartlian dialect.

The task of the work is to identify characteristics of the determinant-determined by comparison with the Georgian literary language according to the varieties of local dialects and gorges.

We researched and studied the research material using the descriptive and comparative method.

We have identified the main characteristic of the determinant-determined and the means of its conveying using the descriptive method.

By means of comparative method, as far as possible, we compared the means of conveying the attributable and substantive determinant, syntactic relationship of each determinant-determined, managed-agreed and emphatic vowel determinant to the texts recorded according to the local dialects of Kartlian dialect and gorges during the different dialectological expeditions to the illustrative materials obtained by us and to the data of literary Georgian language. These issues are presented as separate chapters and sub chapters in the work.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. განსაზღვრების შესწავლის საკითხი ქართველურ ენათმეცნიერაში.....	8
1.1. განსაზღვრების რაობისა და სახეების კლასიფიკაციისათვის.....	8
1.2. მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობისათვის.....	11
თავი II. ატრიბუტული მსაზღვრელი ქართლურში.....	15
2.1. ატრიბუტული მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები.....	15
2.2. ატრიბუტული მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან (წყობა: პოსტპოზიციური, პრეპოზიციული, ბრუნვა, რიცხვი).....	23
2.3. რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან.....	33
2.4. ატრიბუტული მსაზღვრელი ტოპონიმებში.....	39
თავი III. სუბსტანტიური მსაზღვრელი ქართლურში.....	42
3.1. სუბსტანტიური მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები.....	42
3.2. მართული მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან.....	45
3.3. მართულ-შეთანხმებული (ნანათესაობითარი) მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან.....	48
3.4. ემფატიკურხმოვნისანი მართული მსაზღვრელი (განსაზღვრება).....	51
3.5. მართული მსაზღვრელი ტოპონიმებში.....	53
დასკვნა.....	55
გამოყენებული ლიტერატურა.....	59
დიალექტური ტექსტები.....	63

შესავალი

როგორც ცნობილია, „დიალექტების შესწავლას გარკვეული ღირებულება ენიჭება ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და გამდიდრება-განვითარების თვალსაზრისით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფუძე-დიალექტისა და სალიტერატურო ენასთან ახლომდგომი სხვა დიალექტების როლი“ (მარტიროსოვი, 1972, გვ. 3).

ქართლური დიალექტისადმი ენათმეცნიერული ინტერესი საკმაოდ დიდია და მრავალმხრივი, მისი მნიშვნელობა ფასდაუდებელი და განუზომელია ქართულის, როგორც სამწერლობო ენის განვითარების ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის შესწავლისათვის (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 269).

ქართლური დიალექტის გავრცელების არიალს წარმოადგენს ვრცელი ტერიტორიის კახეთიდან იმერეთამდე. მასში გამოიყოფა ოთხი ძირითადი კილოკავი: 1) ცენტრალური ქართლური (მოიცავს მცხეთა-კასპი-გორი-ქარელის რეგიონებს), 2) ჩრდილო (ზემო) ქართლური, აქ გამოიყოფა ორი თქმა: არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველება, 3) სამხრეთ (ქვემო) ქართლური, რომელსაც უწოდებენ თრიალეთურ კილოკავს, სადაც გამოყოფილია რამდენიმე თქმა: გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური...4) დასავლურ ქართლური, იგი იყოფა ორ თქმად: ხაშურ-სურამისა და ბორჯომის ხეობის მეტყველება (იმნაიშვილი, I, 1974, გვ. 20; ჯორბენაძე, 1989, გვ. 290-291).

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მსაზღვრელ-საზღვრულის ქართლურ დიალექტში შესწავლისა და ანალიზის ცდაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიალექტებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სალიტერატურო ენის განვითარებასა და გამდიდრებაში. ამიტომ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულის კვლევა დიალექტურ ტექსტებში დადასტურებული საანალიზო მასალების საფუძველზე.

ნაშრომის მიზანია ქართლურ დიალექტში მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული მასალების მოპოვება, შესწავლა და კვლევა.

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული თავისებურებების გამოვლენა კილოკაური ნაირსახეობებისა და ხეობების მიხედვით ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარების გზით.

საკვლევი მასალიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ აღწერითი და შედარებითი მეთოდი. მოცემული ნაშრომის სიხალეს წარმოადგენს ის, რომ აღწერითი მეთოდის გამოყენებით მოვახდინეთ მსაზღვრელ-საზღვრულის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფა, მისი გადმოცემის საშუალებების კლასიფიცირება ქართულ დიალექტში.

შედარებითი მეთოდით, შეძლებისდაგვარად, ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები, თითოეული მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა, მართულ-შეთანხმებული და ემფატიკურხმოვნის მსაზღვრელი ერთმანეთს შევუდარეთ ქართული დიალექტის კილოკავებსა და ხეობების მიხედვით სხვადასხვა დიალექტოლოგიური ექსპედიციების დროს ჩაწერილ ტექსტებსა და ჩვენს მიერ მოძიებულ საილუსტრაციო მასალებსა და სალიტერატურო ქართული ენის მონაცემებს.

საანალიზოდ გამოვიყენეთ სხვადასხვა დროს ჩაწერილი დიალექტური ტექსტები, გამოქვეყნებულ ლექსიკონებში, მონიგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში დამოწმებული საილუსტრაციო მაგალითები. კერძოდ, გრ. იმნაიშვილის „ქართული დიალექტი“ (ტექსტები), ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგია“, თ. სარალიძის „ალგეთის ხეობის ქართული“, ალ. ლლონტის „ფილოლოგის ჩანაწერები“, ო. კახაძის „ატენისა და წედისის ხეობის ქართული“, პ. გაჩეჩილაძის „ქართულის სალექსიკონო მასალა“, თ. ბეროზაშვილის, მ. მესხიშვილის, ლ. ნოზაძის „ქართული დიალექტის ლექსიკონი“, მ. მესხიშვილის „ქართული ლექსიკონი“, ს. მენტეშაშვილის „ქართული სალექსიკონო მასალა“, მ. კობერიძის შრომები და სხვა.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს მსაზღვრელ-საზღვრულის დიალექტებში შესწავლით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან, ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა და ჩვენ მიერ ჩაწერილი დიალექტური ტექსტები.

პირველი თავი ეძღვნება განსაზღვრების შესწავლის საკითხს ქართველურ ენათმეცნიერებაში: განსაზღვრების რაობისა და სახეების კლასიფიკაციას და მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობას.

მეორე თავი ეხება ატრიბუტულ მსაზღვრელს ქართლურ დიალექტში, მის გადმოცემის საშუალებებს, ატრიბუტული მსაზღვრელის შეთანხმებას საზღვრულ წევრთან, თუ როგორ არის დაკავშირებული ერთ საზღვრელთან რამდენიმე მსაზღვრელი და ატრიბუტული მსაზღვრელის გამოხატვას ტოპონიმებში.

მესამე თავში გაანალიზებულია სუბსტანტიური მსაზღვრელის გამოხატვის საშუალებები ქართლურ დიალექტში, მართული და მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულთან, ცალკე ქვეთემად არის აგრეთვე, გამოყოფილი ემფატიკურხმოვნის მართული მსაზღვრელის საკითხი და სუბსტანტიური მსაზღვრელი ტოპონიმებში.

თავი I. განსაზღვრების შესწავლის საკითხი ქართველურ ენათმეცნიერებაში

1.1. განსაზღვრების რაობისა და სახეების კლასიფიკაციისათვის

წინადადების ერთ-ერთი არამთავარი წევრია განსაზღვრება, რომელიც ახლავს არსებით სახელს ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს, იგი ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მას რაიმე ნიშნის მიხედვით. ამის მიხედვით განსაზღვრება შეიძლება გადმოცემული იყოს არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მიმღეობით, საწყისით (კვაჭაძე, 1988, გვ. 158,159).

განსაზღვრება ორგვარია: ატრიბუტული და სუბსტანტიური. ლეო კვაჭაძის განმარტებით, „ატრიბუტულია განსაზღვრება, რომელიც გადმოცემულია ზედსართავი სახელით (ატრიბუტით) ან კიდევ სინტაქსურად მასთან გათანაბრებული სხვა მეტყველების ნაწილით“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 159).

ლ. კვაჭაძე სუბსტანტიურ განსაზღვრებას უწოდებს „მართულ განსაზღვრებასაც“: „მართულია განსაზღვრება, რომელიც ნათესაობითშია დასმული“ (კვაჭაძე, 1954, გვ. 76).

ჟ. ფეიქრიშვილი შემდეგნაირად განმარტავს სუბსტანტიურ განსაზღვრებას: „სუბსტანტიური განსაზღვრება გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით ან ამავე მნიშვნელობით გამოყენებული სხვა მეტყველების ნაწილით“ (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 143).

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში განსაზღვრების შესწავლის საკითხი პირველად მოცემულია ანტონის გრამატიკაში. ანტონ კათალიკოსი განსაზღვრებას უწოდებს „განმათვსებელს“, იგი ვრცლად საუბრობს განსაზღვრების საკითხის, მისი საზღვრული წევრების შეთანხმების შესახებ (ანტონ I, 1885, გვ. 239; ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 198).

დ. ყიფიანმა ვრცლად განიხილა მსაზღვრელისა და საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობანი. მან გაითვალისწინა ორი და სამსაზღვრელიანი შესიტყვებები და გაანალიზა თავისებურებანი პრეპოზიციული და პოსტპოზიციური წყობისა (ყიფიანი, 1882, გვ. 40; კიზირია, 1997, გვ. 28).

განსაზღვრება შეისწავლა ლ. კვაჭაძემ, ა. კიზირიამ, ვ. თოფურიამ, აკ. დავითიანმა და სხვებმა.

აღნიშნული მკვლევარები განსაზღვრებას თითქმის ერთნაირად განმარტავენ. ლ. კვაჭაძეს ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს მოცემული კვლევა ორ ნაშრომში: „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ და „წინადადების წევრები ქართულში“. პირველ წიგნში განსაზღვრების შესწავლის საკითხი საკმაოდ ვრცლად არის მოცემული, ხოლო მეორეში შედარებით ნაკლებად არის განხილული. აგრეთვე, განსხვავებულად აქვს დასახელებული განსაზღვრების სახელები, ლ. კვაჭაძეს „წინადადების წევრები ქართულში“: „განსაზღვრება შეიძლება იყოს ატრიბუტული, თვისების გამომხატველი და მართული“, მართული განსაზღვრება ნათესაობითში დასმული, ანუ სუბსტანტიური განსაზღვრება (კვაჭაძე, 1954, გვ. 75-83; 1988, გვ. 158).

განსაზღვრების შესახებ საინტერესო შეხედულებებია წარმოდგენილი აკაკი დავითიანის „ქართული ენის სინტაქსში“. აკაკი დავითიანი მსჯელობს სიტყვათშეხამების ტიპების შესახებ, სადაც გამოყოფს ატრიბუტულ შეხამებას: „ატრიბუტული შეხამებისათვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია გაბატონებული წევრის სემანტიკის შეზღუდვა, გამონაწევრება ერთგვარ საგანთა წყებიდან. მაგ.: რიკულებიანი აივანი აღნიშნავს არა საზოგადოდ აივანს, არამედ ამ საგანთა წყებიდან გამონაწევრებულ აივანს, სახელდობრ-რომელსაც რიკულები აქვს. ატრიბუტულ შეხამებაში ცნებები აუცილებლად ლოგიკურად უნდა იყოს შეხამებული“ (დავითიანი, 1973, გვ. 387).

აგრეთვე, ინტერეს იწვევს ისეთი ატრიბუტული სიტყვათშეხამებანი, როდესაც გარეგნულად გაბატონებულსა და დაქვემდებარებულ წევრს ერთნაირი ფორმა არა აქვთ, ამ შემთხვევაში შეთანხმება მხოლოდ იგულისხმება. მაგალითად: დიდი ამბით, კარგი სიტყვით და სხვა (დავითიანი, 1973, გვ. 396).

ლ. კვაჭაძის მსგავსად განიხილავს და განმარტავს განსაზღვრების საკითხს ჟ. ფეიქრიშვილი: „განსაზღვრება არის წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი. იგი ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს და ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მას რაიმე ნიშნის მიხედვით. განსაზღვრების კითხვებია: როგორი? რომელი? რანაირი? რამდენი?...ყველა სახის განსაზღვრება

მსაზღვრელია" (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 141).

ჟ. ფეიქრიშვილი აღნიშნულ სახელმძღვანელოში მსჯელობს, აგრეთვე გენეტიური განსაზღვრებისა და გენეტიური უბრალო დამატების მსგავსება-განსხვავების შესახებ: „ფორმალურად ისინი მსგავსნი არიან, რამაც განაპირობა სამეცნიერო ლიტერატურაში სუბსტანტიური მსაზღვრელის განსხვავებული სინტაქსური კვალიფიკაცია“ (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 145).

აღსანიშნავია ის, რომ ჟ. ფეიქრიშვილისგან განსხვავებულად „გენეტიურ განსაზღვრებას“ ალ. ლლონტი უწოდებს „გენეტიურ მსაზღვრელს“ (ლლონტი, 1980, გვ. 106).

განსაზღვრების და მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობი საკითხები ცალ-ცალკე აქვს განხილული ანტონ კიზირიას თავის წიგნში „ქართული ენა“. მკვლევარი გამოყოფს სამ სახეობას თანხოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნების დროს: 1) სრული სახეობა, 2) გარდამავალი სახეობა, 3) შეკვეცილი სახეობა (კიზირია, 1974, გვ. 51). ლ. კვაჭაძის მსგავსად ა. კიზირიაც მოცემული საკითხების ანალიზის დროს იყენებს ორ ტერმინს: როგორც მართული მსაზღვრელი, ისე მართული განსაზღვრება (კიზირია, 1974, გვ. 58, 210).

ანტონ კიზირიას ცალკე ქვეთავად აქვს წარმოდგენილი „გათიშული მსაზღვრელი“, ეს იმას ნიშნავს, რომ „მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის შეიძლება მოექცეს წინადადების სხვა წევრი. სხვა შემთხვევაში ატრიბუტული მსაზღვრელი ჩვეულებრივ ირთავს ბრუნვის ნიშანს, ასევე ირთავს ბრუნვის ნიშანს მართული მსაზღვრელიც და იქცევა მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელად“ (კიზირია, 1974, გვ. 59). ის ვრცლად მსჯელობს განმარტოებულ მსაზღვრელზე: „მსაზღვრელი შეიძლება განმარტოვდეს. ასეთ შემთხვევაში ატრიბუტული მსაზღვრელი დაისმის იმავე ბრუნვაში, რომელშიც დაკარგული მსაზღვრელი უნდა ყოფილიყო. თუ ეს უკანასკნელი სხვა სახელის მიერ მართული იქნება, განმარტოებული მსაზღვრელი ნათესაობითში წარმოგვიდგება და იგი უკავშირდება მომდევნო საზღვრულს“ (კიზირია, 1997, გვ. 146).

განსაზღვრების რაობისა და სახეების კლასიფიკაციის საკითხზე ქართველურ ენათმეცნიერებაში მკვლევართა მოსაზრებები და განსხვავებული შეხედულებები ამ საკითხის შესწავლის აქტუალურობაზე მიუთითებს.

1.2. მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა

მსაზღვრელი სახელისა და მასთან დაკავშირებული საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობას პირველად შეეხო არნ. ჩიქობავა გამოკვლევაში „რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“, სადაც გაანალიზებულია სიტყვათა დამოკიდებულება წინადადებაში „მეზობლის ბავშვი თამაშობს“, სიტყვა „ბავშვი“ მოითხოვს სიტყვისაგან „მეზობლის“ ისეთ ფორმას, რომელშიც თვითონ არ არის (ნათესაობით ბრუნვას) (ჩიქობავა, 1930, გვ. 422-500).

მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმების საკითხი განიხილა ს. ჯანაშიამ მოხსენებაში „მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში“, რომელიც წაკითხული იყო ქართული ენის ტერმინოლოგიის კომისიის სხდომაზე 1932 წელს (ჯანაშია, 1959, გვ. 259-277).

მისი მოსაზრებით, ნარიანი მრავლობითი, რომელიც ძირითადი და უპირატესია ძველ ქართულში, შეთანხმებას გვაძლევს რიცხვში, -ებ-იან მრავლობითისათვის რიცხვში შეთანხმება მოსალოდნელი არ არის (ჯანაშია, 1959, გვ. 259).

ს. ჯანაშიას ნაშრომში პირველ რიგში წარმოდგენილია ბოლოხმოვნისანი პრეპოზიციული მსაზღვრელის ნიმუშები, შემდეგ კი - ბოლოთანხმოვნისანი მსაზღვრელის ოთხი სახეობა: სრული (როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ოღონდ ვითარებითი იღებს მიცემითის ნიშანს, მოქმედებითი - ნათესაობითის), გარდამავალი (მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს სახელობითსა, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და ვითარებითში, ხოლო ნაწილობრივ ნათესაობითსა და მოქმედებითში), შეკვეცილი (სახელობითში (ზოგჯერ), მოთხრობითსა და წოდებითის გარდა სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია), ვულგარული (ყველა ბრუნვაში სახელობითი ფორმა გვაქვს) (ჯანაშია, 1959, გვ. 262).

მეოთხე სახეობა მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაშია დადასტურებული. დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გარდამავალი სახეობა (კიზირია, 1997, გვ. 58).

მსაზღვრელისა და საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობას ეხება არნ. ჩიქობავა, მას განხილული აქვს მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების ოთხი შემთხვევა: სრული,

გარდამავალი, შეკვეცილი და ვულგარული სახეობა. ის მიიჩნევს, რომ თანამედროვე საფეხურისათვის ძირითადად უნდა იქნეს მიჩნეული გარდამავალი სახეობა (ჩიქობავა, 1930, გვ. 14-20).

ა. შანიძე მსაზღვრელი-საზღვრულის ბრუნებისას გამოყოფს ადრინდელს, ახალს და უახლეს ფორმებს. ადრინდელი ფორმა ემთხვევა ს. ჯანაშიას სრულ სახეობას, ახალი - გარდამავალს, უახლესი-შეკვეცილ სახეობას (შანიძე, 1973, გვ. 82; ჯანაშია, 1959, გვ. 259-277; კიზირია, 1997, გვ. 59).

ნანათესაობითარი მსაზღვრელისა და საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობას ეხება ვ. თოფურიას „ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან“. ავტორი იმოწმებს ძველი და ახალი ქართულის ისეთ ფორმებს, როცა საზღვრულს მოსდევს ნანათესაობითარი მსაზღვრელი (წიგნი ძმისაჲ, წიგნი ძმისა...) აღნიშნულია, რომ ასეთ შემთხვევაში ძველ ქართულში მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს ყველა ბრუნვაში, „ოღონდ ახალ ქართულში გამარტივების შედეგად რიგი თავისებურებები გვაქვს; სახელდობრ: სახელობითსა და ხშირად წოდებითში ბოლო ნიშნები -ა და -ვ მოკვეცილია, ნათესაობითი და მოქმედებითი არ გვხვდება“ (თოფურია, 1956, გვ. 368-361; კიზირია, 1997, გვ. 61).

მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა გულისხმობს ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობის გარკვევას, რისთვისაც სხვადასხვა მომენტს ექცევა ყურადღება (კვაჭაძე, 1954, გვ. 80).

ატრიბუტული განსაზღვრება ითანხმებს ბრუნვაში საზღვრულ წევრს, ასეთი მსაზღვრელი შეთანხმებულია, სუბსტანტიური განსაზღვრება კი მართული ან მართულ-შეთანხმებული: „როცა წყვილში შედის სუბსტანტიური განსაზღვრება და საზღვრული, წყობა პირდაპირია და გაუთიშავი, მაშინ სუბსტანტიური განსაზღვრება მართულია ნათესაობით ბრუნვაში... თუ სუბსტანტიური განსაზღვრება მოსდევს თავის საზღვრულ წევრს, მაშინ ის მართულ-შეთანხმებულია“ (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 147-148).

მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი განხილულია არა ერთი მკვლევარის მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში, სამეცნიერო სესიებისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სხვადასხვა ტომებში დაბეჭდილ სტატიებში.

თ. უთურგაიძე თავის ნაშრომში მსჯელობს მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის შესახებ და გამოჰყოფს შეთანხმების საკითხს, სადაც ხაზს უსვამს მსაზღვრელი წევრის ბლოკირებას წინადადებაში, აგრეთვე განხილული აქვს სუბსტანტიური განსაზღვრების ურთიერთობა საზღვრულთან (უთურგაიძე, 2008, გვ. 204).

მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელის შესახებ საინტერესო ნაშრომი აქვს არ. მარტიროსოვს „კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად ქართველურ ენებში“, სადაც ავტორი მსჯელობს როგორც პოსტპოზიციურ, ისე პრეპოზიციულ კუთვნილებით ნაცვალსახელის მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების საკითხზე ბრუნვასა და რიცხვში (მარტიროსოვი, 1973, გვ. 179).

აღსანიშნავია აგრეთვე, ა. კიზირიას ნაშრომი „ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან“, მას დაწვრილებით აქვს აღნიშნული საკითხი განხილული და საბოლოოდ დაასკვნა, რომ: „ა) ნაგენეტივარი მსაზღვრელი როცა მოსდევს საზღვრულს, უთანდებულოს თუ თანდებულიანს, ხშირად არ ეთანხმება მას ნათესაობთ ბრუნვაში (ნიში ძისა კაცისაჲ... აგარაკისაგან მეკეცისა...). შეუთანხმებლობა აიხსნება ბრუნვის ორი ნიშნის თავიდან აცილებით. ბ) ბრუნვაში შეთანხმებას სისტემატურად მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ნაგენეტივარი მსაზღვრული მრავლობითშია -თ-ა სუფიქსით წარმოებული“ (კიზირია, 1946, გვ. 336).

გენიტიური მსაზღვრელის საკითხი აქვს განხილული ალექსანდრე ლლონტს ნაშრომში „ემფატიკურხმოვნისანი გენიტიური მსაზღვრელი ქართლურში“, სადაც ავტორი მსჯელობს ნაგენეტივარი მსაზღვრელზე, მის გავრცელების საკითხზე ქართლურ დიალექტში: „ქართლურ კილოში ნაგენეტივარი მსაზღვრელი ემფატიკურ ხმოვანს ირთავს და, ჩვეულებრივ, საზღვრულის შემდეგ დაისმის. ემფატიკურხმოვნისანი ნაგენეტივარი მსაზღვრელი ადგილის მიხედვით ქართლურში დღეს მერყევა, ისტორიულად მას წინ უსწრებდა საზღვრული, რაც აქ ახლაც ფართოდაა გავრცელებული, აღრევა მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიულისა და პირდაპირი რიგებისა შემდეგდროინდელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს“ (ლლონტი, 1980, გვ. 114-115).

ქართველურ ენათმეცნიერებაში, განსაზღვრების საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე მიანიშნებს ისიც, რომ ქართული ენის თანამედროვე მკვლევარები განსაზღვრების სხვადასხვა დეტალების შესახებ მსჯელობენ ახლებურად. კ. გაბუნია განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი განსაზღვრების, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის საკითხი თავის წიგნში „მარტივი წინადადების ანალიზის პრინციპები თანამედროვე ქართულში“. იგი აღნიშნავს, რომ: „ მიუხედავად სინტაქსური დამოკიდებულების სხვადასხვაობისა (ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელები საზღვრულთან სინტაქსური დამოკიდებულების სრულიად განსხვავებულ სახეობებს ქმნიან), განსაზღვრებად წინადადების ის წევრი განიხილება, რომელიც „...ახასიათებს ანუ განსაზღვრავს საზღვრულს რაიმე ნიშნის მიხედვით“_მაშასადამე ამოსავალი და ძირითადია სემანსიოლოგიური ნიშანი“ (გაბუნია, 2016, გვ. 163).

წამოდგენილ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა განსხვავებულია ძველი და ახალი ქართულ სალიტერატურო ენაში იმის მიხედვით, მსაზღვრელი ატრიბუტულია თუ მართული. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ვიყენებთ ენათმეცნიერებების შეხედულებებსა და მოსაზრებებს, რომელებიც ნაშრომში ციტირების წესის დაცვით გვაქვს დამოწმებული.

თავი II. ატრიბუტული მსაზღვრელი ქართულში

2.1. ატრიბუტული მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები.

ქართულ სალიტერატურო ენაში ატრიბუტული განსაზღვრება ანუ მსაზღვრელი შეიძლება გადმოიცეს მეტყველების ნაწილებით: ზედსართავი სახელით, არსებითი სახელით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მიმღობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მეტყველების ნაწილები, ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა სიხშირით გვხვდება. ამასთან დაკავშირებით, ანტონ კიზირია შენიშნავს რომ: „ატრიბუტულ განსაზღვრებად გვაქვს ზედსართავი სახელი და მიმღობა, შედარებით უფრო იშვიათად არსებითი სახელი (მასდართურთ), რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი (ჩვენებითი, კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი)“ (კიზირია, 1974, გვ. 207).

ატრიბუტული მსაზღვრელი ქართულ დიალექტის კილოკავებში სხვადასხვაგვარად გვხვდება. ქართული დიალექტის შესწავლა, ამ მხრივ, მეტად საინტერესო სურათს ქმნის. გ. იმნაიშვილის, ი. გიგინეიშვილის, ვ.თოფურიასა და ი. ქავთარაძის მიერ ქართლში შეგროვილ ტექსტებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ დიალექტში უფრო ხშირად გვხვდება ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი. მაგალითად:

ა) თანხმოვანფუძიანი პრეპოზიციური მსაზღვრელი საზღვრულთან:

1. „თავადო და აზნაურო, თავში დიდი ქვა იხალეთ!“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 9).
2. „წერილი ფოთოლი აქს, ირდება ერთ არშინამდისინ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 37).
3. „ყველაზე ძველი გვარია აქ ლალუაშვილები, კიკაძეები და ციციშვილი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 83).
4. „სოფლის სამხრეთით არის ადგილი, რომელიც ცოტა დაბალი ადგილია“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში)

ბ) ხმოვანფუძიანი პრეპოზიციური მსაზღვრელი საზღვრულთან:

1. „თუ მოვედითო, თქვენ გასამჯრლოს მიიღებთო, თუ არაოდა, წმინდა კაცი ხარ, შენ დაგჩესო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 43).
2. „ჭრელი მამალი გომიჯრული, ლობიო ლავრული, კუდა აზნაური მეტეხური“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 283).
3. „ ფშვრია თავთავს ამაილებს“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 277).
4. „იმიტომა რომა აქ მოდიოდა საუკეთესო ჭირნახული“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
5. „წავიდა მერე თითონ, რო კიდევ იშოვნოს სამგზავრო ფული“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 42).

გ) ხმოვანფუძიანი პოსტპოზიციური მსაზღვრელი საზღვრულთან:

1. „ილიას ყვანდა რვაას-ცხრაასი ცხვარი, ორმოც სულამდე ძროხა მშრალი და მეწველი, ცხენებიც ეყოლებოდა ოცამდე, შასაბმელი ყავდა ექვსი ურმისა ყევარი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 18).
2. „იყო ერთი ხენწიფე უშვილო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 96).

დ) ნაწარმოები ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულთან:

1. „უპატრონო (პატრონი–უ–პატრონ-ო) ალაგი ყოფილა და ბალახი გარდილა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 101).
2. „ვისაც უნდოდა პირიანი (პირ-იან-ი) კაცი გამოსულიყო, დააბრუნებდა; ვისაც არადა, შარჩებოდა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 18).

ე) ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული ზედსართავსახელიანი ატრიბუტული მსაზღვრელი:

1. „ სხვილი (← მსხვილი) კვირტი თუ არის, ის მოისხამს, თუ წვრილია და გრძელი, ის ფოთოლისა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 289).

2. „კარქი(←კარგი) მოსავალი იყო, მაგრამ დასეტყვა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 103).
3. „დასხდნენ და კაი (←კარგი) პური ჭამეს“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 279).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი ქართლურ დიალექტის ყველა კილოკავში მრავლად დასტურდება თავის გამოხატვის მრავალფეროვნებით, კერძოდ, გვხვდება: ა) როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი; ბ) როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური; გ) ნაწარმოები ატრიბუტული მსაზღვრელი, შეიძლება გამოხატავდეს დანიშნულებას (სამგზავრო ფული), უყოლობა-უქონლობას (უპატრონო ალაგი) და სხვა; დ) სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენის შედეგად მიღებული ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი: (კარქი (←კარგი) მოსავალი, სხვილი (←მსხვილი) კვირტი).

ქართლურ დიალექტის შესახებ საინტერესო მასალები აქვს მოცემული თავის ნაშრომში თამარ სალარიძეს „ალგეთის ხეობის ქართლური“. მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობს ქვემო ქართლის (სამხრეთის) კილოს, ალგეთის ხეობას. ალგეთის ხეობაში განლაგებული სოფლები განეკუთვნება თეთრი წყაროს რაიონს (სალარიძე, 1978, გვ. 3).

ალგეთურ მეტყველებაში მრავლადაა წამოდგენილი კომპოზიტები, სადაც ატრიბუტულ მსაზღვრელიანი კომპოზიტების თითქმის ყველა ტიპი გვხვდება (სარალიძე, 1978, გვ. 87).

მსაზღვრელად ზედსართავი სახელია გამოყენებული პირდაპირი წყობით. მაგალითად:

1. „ყრუჩიტა (ყრუ ჩიტი)-(ჩიტია ერთგვარი“ (სარალიძე, 1978, გვ. 87).
2. „ხოშკაკალა (ხოში კაკალი) -(წვრილმარცვლიანი სეტყვა)“ (სარალიძე, 1978, გვ. 88).
3. „ქვედატანი (ქვედა ტანი)-(წელს ქვემოთ ჩასაცმელი კაბა, ბოლოკაბა)“ (სარალიძე, 1978, გვ. 88). „ქვედა“ ცალკე აღებული არის ზმნიზედა, ხოლო როგორც

მსაზღვრელი, რომელიც კომპოზიტის ნაწილია ზედსართავი სახელის ფუნქციით არის წარმოდგენილი.

აქვე გვხვდება ისეთ ატრიბუტული განსაზღვრება, როდესაც არსებითი სახელი არის გამოყენებული მსაზღველად, ხოლო წყობა კი პირდაპირია. მაგალითად:

1. „ქვახიდა (მდინარეში ჩაწყობილი ქვების ხიდი)“ (სარალიძე, 1978, გვ. 87).
2. „გოგრაქლიავა (ქლიავის ჯიშია)“ (სარალიძე, 1978, გვ. 87).
3. „ძუძუბალა (წვრილი წითელი ტყის ბალი)“ (სარალიძე, 1978, გვ. 87).

როგორც ჟ. ფეიქრიშვილი აღნიშნავს: „ატრიბუტულ განსაზღვრებად გვხვდება ზომა-წონის, პროფესიას, წოდების ან თანამდებობის აღმნიშვნელი სახელებიც“ (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 142). მსგავსი მაგალითები დასტურდება ქართლურ დიალექტშიც. მაგალითად:

ა) ზომა-წონის სახელები ატრიბუტულ განსაზღვრებად:

1. „ერთ სტაქან წყალს დავასხამთ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 35).
2. „-ოღონდ გამართე და ათი ურემი ხორბალი დაუდო ურემზე და გამოგზავნო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 320).
3. „კიდევ ვაძლენდით საყენ შეშას“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 60).
4. „მოვხრაკამთ ერბოში ხახვს, მერე ჩავყრით ერთ ლამბაქ ფქვილსა და ისიც მაიმუშება კარგათ, დაწითლდება“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 315).

ბ) წოდების ან თანამდებობის სახელები ატრიბუტულ განსაზღვრებად:

1. „მერე მოვიდა ბატონი ამილახვარი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 15).
2. „გუდაძეი გაყიდა ბატონმა აბაშიძემ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 81).
3. „იყვნენ სოფდაგარი ხალხი და დადიოდნენ სოფლებშია და ცვლიდნენ“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 280).
4. „ნეფე ერეკლე შეჯდა თავი ცხენზე“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 75).

რაც შეეხება რიცხვითი სახელით გადმოცემულ ატრიბუტულ მსაზღვრელს, ქართულ დიალექტში, სალიტერატურო ენის მსგავსად დასტურდება რიგობითი და რაოდენობით რიცხვითი სახელები, ხოლო წილობით ნაკლებად არის წამოდგენილი. მაგალითად:

ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად:

1. „ამ სოფელში კოვზიაშვილები ვართ ახლა **ცამეტი კომლი**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 14).
2. „პირველიდან **შვიდი მეკომური** დასახლებულა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 108).

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელი ატრიბუტულ მსაზღვრელად:

1. „**მესამე დილით** გამუაცხო ერთი ხმიანდი, ბავშვები გამოუმვა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 55). ამ მაგალითში ორი რიცხვითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი გვაქვს. მათგან პირველი არის რიგობითი რიცხვითი სახელი, ხოლო მეორე რაოდენობითი.
2. „ისინიც ისეთივე ქართველები არიან, როგორ **მეორე ქართველები**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 108).
3. „**მეორე დილით** ამოიღებენ ყველს იმ პარკიდან და ჩააწყობენ გუდაში“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 113).

ასევე, გვხვდება გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებიც, რომლებიც წარმოდგენილია ფუძეგაორკეცებული და ნაირფუძიანი კომპოზიტების სახით. მაგალითად:

1. „**ყოველ დღე** ჩემა დიდედამა უზიდა **ორ-ორი ჭადი**, მიაყოლა დოქით ღვინოი, წვანილი რამე“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 82). ამ მაგალითში გვხვდება როგორც გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი, ასევე ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელიც.
2. „**თითო-თითო კომბოსტოს** შინჯამენ, **მატლ ხოცამენ ხელით, ჯოხით**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 114).

3. „ნახეს ოთხასფუთიანი ქვევრები“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 59). ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულია ორფუძიანი რიცხვითი სახელი.
4. „ხუთი-ექვსი დღე უნდა შეინახო მარხვა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

ატრიბუტული მსაზღვრელი შეიძლება გადმოცემული იყოს ნაცვალსახელის მეშვეობით. ნაცვალსახელის ჯგუფებიდან უმეტესად დასტურდება კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელებით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი. „კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი დანიშნულებით მსაზღვრელი სიტყვაა და ამიტომ იგი ჩვეულებრივ სხვა სახელთან იხმარება...ცნობილია, რომ მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი ძველ ქართულში ჩვეულებრივ მოსდევდა საზღვრულს, ე.ი. გაბატონებულია რიგი: საზღვრულ-მსაზღვრელი, მაგრამ ამავე დროს გვხვდება საპირისპირო წყობის შემთხვევებიც“ (მარტიროსოვი, 1973, გვ. 178).

ქართლურ დიალექტის თითქმის ყველა კუთხის მეტყველებაში გვხვდება კუთვნილებითი ნაცვალსახელის მსაზღვრელად გამოყენების პრეპოზიციური წყობა. მაგალითად:

1. „მე ისე მოვაჩვენე ჩემი თავი, რომა მითომ არ ვიცოდი ჩემი ძველი გვარი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 15).
2. „ჩემი პაპა გადმოსულა დუშეთის თავიდან სოფელ იორიდან“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 22).
3. „ჩვენი მამული არის თაფანში“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 103).
4. „შენი ცოლ-შვილი დაიხოცაო, შენ ეზოში ჭინჭარი ამოვიდაო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 294).

ო. კახაძე ატენისა და წედისის ხეობის ქართლურთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „მსაზღვრელად ხმარებული ჩვენებითი ნაცვალსახელები ჩვეულებრივ გვხვდება მხოლოდ ხმოვნის სახით: ე დოლაი... ი ქალი...“ (კახაძე, 1953, გვ. 278).

ატრიბუტული მსაზღვრელის ჩვენებით ნაცვალსახელით გადმოცემა ანალოგიური სახით ძირითადად დასტურდება ცენტრალური ქართლის სხვადასხვა რაიონში. მაგალითად:

1. „ამ ქალმა ი თათარი დაასაჩუქრა ფულითა“ (გორის რ.) (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 42).
2. „ე ყანა გაათავე სინამ გამოვივლიო, თორე უარესათა ქცემო“ (მცხეთის რ.) (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 53).
3. „ბატონს აუღია და ე ღორი უკან გადმოუგდია...“ (გორის რ.) (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 298).
4. „ი შვილი ძიენ უყვარდა“ (ქარელის რ.) (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 301).

ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად სრული სახით, თანხმოვანმოკვეცის გარეშე, გავრცელებულია ქართლურის სხვადასხვა კილოკავში. მაგალითად:

1. „წამოიღო ხენწიფემა ეს ვაშლი“ (დასავლური ქართლური) (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 96).
2. „ამ ბატონს ეგ ამბავი მისული ქონდა: ამა და ამ კაცს ქალი რო მოყავს, შენ არ გამოგიგზავნისო“ (ცენტრალური ქართლური) (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 80).
3. „იმ ბატონმა სამჯერ ააშენა სოფელი და სამჯერ დააქცია“ (სამხრული ქართლური) (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 108).
4. „მერე გაურიგებენ იმ ქალსა და დაინიშნება“ (ჩრდილოური ქართლური) (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 142).
5. „ამ კაცმა ორივეს მოვლა ვერ შეიძლო, ეს ძროხა გაუშვა“ (ცენტრალური ქართლური) (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 277).
6. „წაიყვნა ამ დედაკაცმა ქმარი იმ ხიდზე, სალამომდი იქ იყო“ (სამხრული ქართლური) (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 318).

ქართლურ დიალექტში დასტურდება მიმდევობით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი. მაგალითად:

1. „გაუთხოვარი ქალი იყო და რძალი იყო, რძალ-მული იყვნენ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 10).

2. „**ანთებული ცეცხლი** დასტოვებს და წამოვიდნენ ღამე“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 14).
3. „აქ ყოფილიყო ძელათ **მოდებული წყალი** თელ ვაკეში“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 63).
4. „სხვადსხვა სოფელში დეისაჩივრეს: ძარები დაგვიმტვრიაო და ჭამსო **გარჩეულ სიმინდსაო**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 77).
5. „არი ყარიმი, **გაუტეხელი მიწაი**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 272).
6. „გაზაფხულით რო ჭყოპები მოა და გაყინოს მაგრა, **დათესილი თესლი** გადაიქცევა ღვარძლათა და ფშვრივათა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 277).
7. „კლამს ის **ნასროლი ტყვია** თუ არა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 119).
8. „ჩვენ გვაქვს **შეცვლილი გვარები**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 136).
9. „**დამჟავებული, დაღრეჯილი პური** (ფარცხ., მარაბ.)“ (მენტემაშვილი, 1970, გვ. 262).
10. „სიმუას მორევი სოფლიდან ცოტა მოშორებით არის და იქიდან **წამოსული ხალხი** დაღლილ-დაქანცული რო იყვნენ ისვენებდნენ ერთ ადგილზე“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
11. „**დატვირთული ურმით** გაუდგებოდა სოფლის გზასა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
12. „თან უჯრის ხაზზე არ უნდა გაჩერებულიყო ფეხით **ნასროლი პოლტი**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
13. „ახალგაზრდები თავქვემ იდებდნენ ხოლმე **დახეული თავშელის** მონახევს“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
14. „კუთხებში შემოეტარებინათ **ანთებული სანთელი**, ამასა აკეთებდა ოჯახის უფროსი წევრი“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
15. „როცა **გასუფთავებულ ხორბალს** ჩავყრით ქვაბში სანთელი უნდა დავანთოთ“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

ქართლურ დიალექტში მიმღეობით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი სალიტერატურო ქართულის მსგავსად რაიმე ნაირსახეობით არ გამოირჩევა.

ამრიგად, ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად ქართლურ დიალექტში ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მიმღეობით, მაგრამ შეინიშნება განსხვავებაც, კერძოდ, ჩვენებითი ნაცვალსახელი გვხვდება ხმოვნის სახით: ი შვილი, ე ყანა, რომელიც გულისხმობს ის შვილი, ეს ყანა.

2.2. ატრიბუტული მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრელთან (წყობა: პოსტპოზიციური, პრეპოზიციული, ბრუნვა, რიცხვი)

ქართველურ ენათმეცნიერებაში ატრიბუტულ მსაზღვრელზე მსჯელობისას აუცილებელი და მნიშვნელოვანია მისი ურთიერთობის განსაზღვრა საზღვრულ წევრთან. „განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების საზღვრულ წევრთან ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 172).

ამ საკითხის განხილვისას, პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ წინადადებაში ატრიბუტული მსაზღვრელის ადგილზე, ანუ წყობაზე: პრეპოზიციურია თუ პოსტპოზიციური და თუ, როგორი ფუძით არის გადმოცემული: თანხმოვანფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი.

ქართულ სალიტერატურო ენაში ხმოვანფუძიანი ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ მდგომია, ფუძის სახით შეეწყობა საზღვრულ სიტყვას ყველა ბრუნვაში. ბრუნვისა და რიცხვის გამოხატვა მთლიანად საზღვრულ წევრს აქვს დაკისრებული. ხოლო, „უშუალოდ საზღვრულის წინ მდგომი ატრიბუტული განსაზღვრება, რომლის ფუძეც თანხმოვნით ბოლოვდება, ჩვეულებრივ, სრულად ეთანხმება საზღვრულს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ-ო სახლ-ო), ნაწილობრივ ნათესაობითსა და მოქმედებითში (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-ი სახლ-ით), ხოლო ფუძის სახით შეეწყობა მიცემითსა და ვითარებითში (მაღალ სახლ-ს, მაღალ სახლ-ად)“ (კვაჭაძე, 1954, გვ. 80). ატრიბუტული მსაზღვრელის ამგვარი წყობა არის პრეპოზიციური, აგრეთვე გვაქვს მეორე ინვერსიული ანუ შებრუნებული წყობა, როდესაც საზღვრულ წევრს მოსდევს ატრიბუტული

მსაზღვრელი, მას პოსტპოზიციურ წყობასაც უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი საზღვრულ წევრს ეთანხმება ბრუნვაში. რაც შეეხება რიცხვში შეთანხმების საკითხს: „როცა საზღვრული მრავლობით რიცხვშია და -ებ ნიშანს დაირთავს, მსაზღვრელი მას რიცხვში არ ეთანხმება. ნართანიან საზღვრულთან მსაზღვრელი გვაქვს რიცხვში შეთანხმებულიც და შეუთანხმებელიც“ (კიზირია, 1974, გვ. 51).

მ. კობერიძეს განხილული აქვს ქართლურ კილოში წარმოდგენილი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების პარადიგმა, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო მასალაა წარმოდგენილი მსაზღვრელის საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის, ანუ შეთანხმების საკითხის შესახებ. მოცემულ პარადიგმაში მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების მრავალფეროვან შემთხვევას ვხვდებით როგორც მხოლოდ, ასევე მრავლობით რიცხვში (კობერიძე, 2017, გვ. 10).

ქართლურ დიალექტში წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ზოგ შემთხვევაში ემთხვევა სალიტერატურო ქართულში მოცემულ კლასიფიკაციას, მაგრამ უმეტესად იგი თავისი დიალექტური ნაირსახეობით არის გამოკვეთილი კილოკავებსა და თქმებში.

ქართლურში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების დროს რამდენიმე ვარიანტი გვხვდება:

ცენტრალურ და დასავლურ ქართლურში დაცულია ძველი ვითარება და მსაზღვრელ-საზღვრული წარმოდგენილია ერთნაირი გაფორმებით, ეს ხდება მაშინ, როცა მსაზღვრელი თანხმოვანფუძიანია და წინ უსწრებს საზღვრულს, ხოლო საზღვრული კი ხმოვანფუძიანია: დიდი ხეი, ხმელი შეშაი, ჭკვიანი ხემწიფეი და სხვა (იმნაიშვილი, I, 1974, გვ. 233). მაგალითად:

1. „ნარბილი მიწაი მუდმისათა ბრუნდება, ფხვიერო არი უკვე“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 272).
2. „არი ყარიმი, გაუტეხელი მიწაი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 272).
3. „ამ ხემწიფესა ყამდა ერთი ლამაზი გოგოი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 301).

4. „სულ ჯოხებით გამოვიდა ეს **საშუალო ძმაი**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 304).
5. „ჩვენ სოფელში იყო ერთი კაი მონადირე **კაცი ლექსოი**, ჩაჩანიძე იყო გვართ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 77).
6. „დავიყენეთ მერე **ერთი მენახირეი** და ერთათ მოვდენ ორთავე სოფლის საქონელი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 69).
7. „**ერთი გორგოლაი** კვლისაა, დიდი როა, მეორე ველისაა, ენდე, პატარა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 273).
8. „მართლაც წავიდა გელი და შეხვდა **ოთხი თხაი**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 302).
9. „გამოიზენზა **ჩვენი ძროხაი** ჩალითა და დაწვა“ (მერ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 108).
10. „აი, ემას, ჩვენ პატარძალს, ისე ჰყავ შემკვლელელებული ბავშვები, სუ აქ არიან მოგროვილები **თელი დღეი**“ (სალოლაშენი) (მენტემაშვილი, 1970, გვ. 294).
11. „ამ სოფლის თავიდან იღებს სათავეს **ეს მდინარეი**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

მოცემულ მაგალითებში მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის დროს დასტურდება საზღვრულზე სრული ი-ს დართვა. გვაქვს, აგრეთვე ისეთი მაგალითები, სადაც „ი“ გვხვდება, როგორც **ი (იოტა)**, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ენისათვის, მაგალითად:

1. „ეგრე წუწურაქობს, რო **ერთი ბეწოი** ზედმეტ არ გადააყოლეფს, თავისი გულის ნათესავიც რო იყვეს“ (წილკ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 139).

ლ. ნოზაძის მიერ ცხინვალის რაიონში ჩაწერილ ტექსტებში „შეინიშნება ტენდენცია მსაზღვრელის სახელობითის ფორმა გავრცელდეს მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებშიც. მაგ.: **ჩემი მძახალმა** იცის. **თელი მეზობლებსა** შეშურდათ. **ძველი დროსა** ჩვენი პაპაი ბატონ გეეგზავნა. **თელი გუნდას** გაჭრით შუაზე...“ (ნოზაძე, 1970, გვ. 344).

1. „თელი ქალაქს სუ თვალი რჩებოდა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 316). სახელობით ბრუნვაში მდგომ მსაზღვრელთან საზღვრული შეწყობილია მიცემით ბრუნვაში.
2. „სამი ყაჩაღსა ნადავლი გაუკეთებიათ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 49). მსაზღვრელად გამოყენებულ რიცხვით სახელს, რომელიც სახელობით ბრუნვაშია მოცემული, საზღვრული შეწყობილია მიცემით ბრუნვის ფორმით.

ქართლურს გამოეყოფა წერაქვ-სიონური და რეხის მეტყველება, სადაც „თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ყოველთვის გვევლინება სახელობითი ბრუნვის ფორმით და ანგარიშს არ უწევს საზღვრულს. მაგალითად: ხმელი ტოტეფსა ჭჭრით (წერაქვი); დიდი ძმამ თქვა (წერაქვი); ჩვენი კაცმა დაიჭირა (სიონი); ცხვარი ... მოძოვს ფინთი ბალახსა (წერაქვი); დაუძახეს იმ საქმის გამკეთებელი მაჭანკალსა (რეხა)...“ (იმნაიშვილი, I, 1974, გვ. 234).

ბრუნვაში შეთანხმების დარღვევის შემთხვევებს ვხვდებით ბორჯომის ხეობის ქართლურ მეტყველებაში, მაგრამ ეს მოვლენა მეტად იშვიათია. აქაც მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ „მოთხოვითსა და მიცემით ბრუნვაში დაყენებულ საზღვრულთან მსაზღვრელი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა ნახმარი, მაგ.: გააჩერა ჯარი ამ საწყალი კაცმა (ჭობისხევი); ვეხმარებოდი მამასა ქალ-კაცური საქმეშია (ყვიბ.) და სხვ.“ (იმნაიშვილი, 1956, გვ. 104).

ანალოგიური მოვლენები დასტურდება არაგვის ხეობასა და ქართლის სხვა კუთხეებში. (იმნაიშვილი, 1952, გვ. 333).

ასევე, გვხვდება ისეთი მაგალითები, როცა თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი საზღვრული წევრის წინ. მაგალითად:

1. „ერთხელ მისაქციელში წაიღო ქვრივ დედაკაცმა და არ გამოუტანია“ (იმნაიშვილი, 1974, II, გვ. 18). ამ შემთხვევაში ატრიბუტული მსაზღვრელი ბრუნვაში უნდა ეთანხმებოდეს საზღვრულს (ქვრივმა დედაკაცმა).
2. „სოფლი ზევიდან დიდ (დიდი) საყტრის გარემემო სუ ქვევრია“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 101).
3. „სახელათ ყოფილა შირვან ქალაქი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 143).

4. „ერთ ქალაქში ხელმწიფე იყო და იმ ქალაქი ერთი ქვირთ (ქვირთი) დედაკაცი იყო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 324).
5. „აუარ-ჩაუარა, დაინახა წითელ (წითელი) ლენტით და დაუჭირა ფაფარი, გამაიყვანა, შეჯდა ზედა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 316).
6. „იმ საწყალ (საწყალმა) კაცმა უთხრა: თუ შენ დაიჭერ, მე მოგცემო და, თუ ვერ დაიჭერო,შენ მამცემიო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 294).

„ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი, როცა ის წინ უსწრებს საზღვრულს, სახელობით ბრუნვაში ფუძითა წარმოდგენილი, ხოლო საზღვრული, მიუხედავად ფუძის ბოლოკიდური ბგერის რაობისა, ჩვეულებრივ დაირთავს ბრუნვის ნიშანს: **საქარავნო გზაი, სხმოიარე ხეი, მოკლე ჯოხი**“ (იმნაიშვილი, I, 1974, გვ. 233). მაგალითად:

1. „ბიჭმა დაიჭირა მძინარე ქალი, წამაიყვანა ქალი ბიჭმა, დაუძახა მეცხვარეს: „დამილოცნია ეს დოვლათი შენთვის. მე მივდივარ მამაჩემის სახელმწიფოში“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 324).
2. „ქორფა ხბოი ერთი კვირა კარქა უნდა მოუაროთ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 110).
3. „იყო და არა იყო რა, იყო ერთი გაუცინარე ხემწიფე“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 301).

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულის წინ:

1. „თუ მოვედითო, თქვენ გასამჯრლოს მიიღებთო, თუ არაოდა, წმინდა კაცი ხარ, შენ დაგჩესო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 43).
2. „აქ ყოფილიყო პატარა მინდორი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 70).
3. „ეკლესიას უკნიდან აქვს პატარა ფანჯარა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 109).
4. „უბრალო ტალახით ვაკეთებდით კედლეფსა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ.142).
5. „გადეხვია და დადჰკოცნა ბრმა კაცმა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 285).
6. „შენ ვერ მეტყვიო, წადი და ნურც ძლიერ ჰკვიან კაცს კითხავო, შეტეშუტა კაცს კითხეო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 303).

7. „შალალა ისინიცა, რა თქმა უნდა, იმ მოხუცმა კაცმა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 285).

ქართლურ დიალექტში ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან ურთიერთობა მიჰყვება იმ ძირითად წესს, რომელიც დამახასიათებელი არის სალიტერატურო ქართულ ენაში წარმოდგენილი ატრიბუტული მსაზღვრელისთვის. აქ ვგულისხმობთ, ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების შემთხვევას, როცა თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელობით, მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვაში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ხოლო მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში ფუძის სახით გვხვდება, ნათესაობითსა და მოქმედებითში კი დაირთავს ბრუნვის ნიშნის ხმოვან ნაწილს. ქართლურ დიალექტში ანალოგიური ვითარება გვაქვს, თუ არ ჩავთვლით, ზემოთ აღნიშნულ მომენტს, როცა მსაზღვრელი ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის სახით, მოთხრობითსა და მიცემითში მდგარ საზღვრულ წევრთან. მაგალითად:

1. „უნცროსმა ძმამ უთხრა სხვა ძმეფს: უნდა წავიდე, გავიგო: სხვეფსაც ეგეთი ცოლები ყამთო?“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 51).
2. „ამ წყალს მყრალი სუნი აქვს, დასალევი წყლის გემო არა აქვს“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 65).
3. „უთხრა ამ ბიჭმა: დიდებულო ხელმწიფეო, ეს ხო უნდა მამკალ, მამკალ, მაგრამ საცა უნდა დავიმარხო, იქ სანთელი უნდა ავანთო და მემრე მამკლამო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 326).
4. „ესო ქაჯ ხელმწიფეს უყვარდაო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 326).
5. „გაანიადაგეს ამ ოხერმა ჭუკიებმა მთელი ბოსტანი“(ტყვ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 74).
6. „რო შეჭამდა მოწამლულ ხორცს, მოკვდებოდა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 76).
7. „გოგო კიდე იპოვა მწყემსმა მეცხვარემ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 56).
8. „გუდაძეი გაყიდა ბატონმა აბაშიძემ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 81).

ქართლურ დიალექტში დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური რიგი და აგრეთვე, გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული. ეს მოვლენა დამახასიათებელია კასპის ქართლურის მეტყველებისათვის. მაგალითად:

„**ბაზაზობა ქალაქური, ქარი დიღმური, საორაგულე მცხეთური, მელა-ტურა ძეგური, ჭრელი მამალი გომიჯრული, ლობიო ლავრული, კუდა აზნაური მეტეხური, კლდე უფლისციხური, ლიტრა გორული, წყლის ხერხი ატენური, ღვინო ხიდითაური, ჩონგური ხოვლური, სახრავი ატამი თემმიხეური, შინდის კერკი თვალადაური, წნული საბძელები ახალციხური, ერდო მაღალი წინარეხული, ავდარი ბოტისური, პური მოხისური, ვირი წავკური, მეველე შინდური, ჩაველ ქალაქსა**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 283). ეს მაგალითი ჩაწერილია კასპის რაიონში, სადაც ვხვდებით მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციურ რიგს: **ბაზრობა ქალაქური—ქალაქური ბაზრობა, ქარი დიღმური—დიღმური ქარი, საორაგულე მცხეთური—მცხეთური საორაგულე, მელა-ტურა ძეგური-ძეგური მელა-ტურა...პური მოხისური—მოხისური პური და სხვა.** აღნიშნულ მაგალითში დასტურდება გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული, რომელიც პოსტპოზიციურია: **ჭრელი მამალი გომიჯრული—გომიჯრული ჭრელი მამალი, კუდა აზნაური მეტეხური—მეტეხური კუდა აზნაური, წყლის ხერხი ატენური—ატენური წყლის ხერხი, შინდის კერკი თვალადაური—თვალადაური შინდის კერკი და სხვა.** სალიტერატურო ქართული ენის მიხედვით პირველ ადგილზე უნდა იყოს ატრიბუტული მსაზღვრელი, ხოლო მეორე ადგილზე მართული მსაზღვრელი, მოცემულ მაგალითში კი პირველ ადგილზე დასტურდება მართული მსაზღვრელი (**წყლის, შინდის**), რომელიც გათიშულია საზღვრული წევრით (**ხერხი, კერკი**).

ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების შემთხვევებიდან, ქართლურ დიალექტში გვხვდება რიცხვითი სახელის შეთანხმება მოთხრობით ბრუნვაში. იგი განურჩევლად დასტურდება ყველა კილოკავში. მაგალითად:

1. „**ამ ორმა კაცმა** იშოვნეს იმითანა კაცი, რო პასუხი აგოს აღმოსავლეთის ხენწიფესთან“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 93).
2. „**ერთმა ეშმაკმა** უთხრა, რომა: -მე ისეთი საქმე მიქნია, რომა ქვეყანაზე არადროს არა ყოფილა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 318).

3. „ერთმა ქალმა და კაცმა ჩაიარა ცხენზე შემჯდარი, ერთ ცხენზე ისხდნენ (იჯდნენ) ორივენი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 299).
4. „მე რო დავიბადე, მაშინ წერა-კითხვა იცოდა მარტო ერთმა მოხუცმა ქალმა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 310).

ხშირად არის წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან მოთხოვით ბრუნვაში, მაგალითად:

1. „ერთხელ ჩემმა ამხანაგმა დამიძახა:“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 14).
2. „-ამდამ ჩემმა ქმარმა ისწავლა ყველაფერი, მოვიყვანო, გავხდეთ მდიდრები,- ამოვიდა ხიდზე, ნახა, რა გაგიშვია, რას ეძებ, ვერ ნახა, ტირილით წამოვიდა სახლში“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 321).
3. „რამტენ ხან უნა ვიცხოვროთ ერთათა ჩვენა და ჩემმა მაზღმა, დრო არ არი ჩვენი დაწალიკებისა?!(გრაკლ.)“ (მესხიშვილი, 2006, გვ. 74).

დიალექტურ ტექსტებში დასტურდება ისეთი მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის შემთხვევებიც, როცა მსაზღვრელში ორი მ-ს ნაცვლად ერთი გვხვდება. მაგალითად:

1. ჩემა (ჩემმა) რაშმა აქ დაიჭიხვინა და შენმა რაშმა კვიცი მოიგო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 93)
2. „ჩემა (ჩემმა) დიდმა პაპამ დამალა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 82).
3. „ზამთარი რომ მოვიდა, ჩემა (ჩემმა) პაპამა ეკლესიაში დამალა, ფარაჯეები მიცა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 82).

აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი დამახასიათებელი ნიშანი, ეს არის საზღვრული წევრის გავრცობა ა-ხმოვნით. მაგალითად:

1. „ქურდაძეც დიდი ხნისაა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 83).
2. „დააყრიდნენ რგვალ ხესა, მერე კოჭ დააყრიდნენ, მერე მიწას შეჰყრიდნენ და შევიდოდნენ, დადგებოდნენ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 121).

3. „ვაშლეფსა და სხლეფსა ვსხლით, ხმელი ტოტეფსა პატარა ხერხითა ჭჭრით“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 114).
4. „მარი კეთდება რგვალი ხისა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 310).

ქართლურ დიალექტში გვხვდება ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის ისეთი მაგალითები, როცა მათ შორის სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო შეთანხმება ბრუნვაში, მაგრამ ამჟამად რომელიმე წევრზე ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგად წაშლილია ამ ურთიერთობის კვალიც. მაგალითად:

1. „ჩემ რძალ ველოდები, იმი გამოსობით თელი დღე გამოდამებული ვარ“ (კავთ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 105). მოცემულ მაგალითში ატრიბუტული მსაზღვრელიც და საზღვრულიც ფუძის სახლით არის წარმოდგენილი, სწორი შეთანხმება იქნებოდა **ჩემს რძალს**.
2. „იფიქრა ამ საწყალ კაცმა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 292). ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნვაში შეთანხმების დროს მსაზღვრულიც მოთხრობით ბრუნვაში უნდა გვქონდეს (**საწყალმა კაცმა**).

ქართლურ დიალექტში ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულ რიცხვით სახელებთან საზღვრული წევრი გვევლინება როგორც მხოლოდით რიცხვში, ასევე მრავლობით რიცხვში. მრავლობითი რიცხვიდან დასტურდება ორივე: ნართანიანი და ებიანიც. მაგალითად:

1. „სამნი ძმანი ჩამოსულან და აქ დასახლებულან“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 131).
2. „ერთ დროს ყოფილან ორნი ძმანი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 317).
3. „ ქვეში ურმაშვილები ყოფილან შვიდნი ძმანი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 321).

ამ შემთხვევაში თანამედროვე ქართულ ენასთან სხვაობას ქმნის ის, რომ რიცხვითი სახელი, რომელიც ატრიბუტული მსაზღვრულია მას საზღვრული მხოლოდით რიცხვში უნდა შეეწყოს, ხოლო ქართლური დიალექტის მოყვანილ

მაგალითებში ამ მოვლენის ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე სალიტერატურო ენასთან მიმართებით. მაგალითად:

1. „ხუთკუნჭულამ უთხრა:-მომიტანე **ბევრი ნემსები** და წავალო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 295).
2. „მდევმა რო დაიძინა, ხუთკუნჭულამ თავისი **ოთხთავე ძმები** ააყენა და კარში წამოიყვანა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 295).
3. „ცხრაწყაროზე შევიყრებოდით ხომე ხან **სამოცი**, ხან **ოთხმოცი კაცები**, წყევსები“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 27).
4. „ისინიც ისეთივე ქართველები არიან, როგორ **მეორე ქართველები**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 108).
5. „ახლა ქორწილი სულ სხვანაირი იციან, წინათ კიდევ უფრო **ბევრი ტრადიციები** იყო დაკავშირებული ქორწილთანა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, ატრიბუტული მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან საინტერესო და მრავალფეროვანია, გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული წესით მიმდინარეობს მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება: ატრიბუტულ მსაზღვრელს აკლია ბრუნვის ნიშნის ნაწილი და ამის გამო მათ შორის დარღვეულია შეთანხმება (**ჩემ რძალ ველოდები**), ან ფუძის სხით იყოს მთლიანად წარმოდგენილი (**ქვრივ (ქვრივმა) დედაკაცმა**), (**წითელ (წითელი) ლენტით**), მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელის საზღვრულთან შეთანხმების დროს გვხვდება ერთი მ, ორის ნაცვალად (**ჩემა (ჩემმა) რაშმა**), დასტურდება საზღვრული წევრის გავრცობა როგორც ა (**რგვალ ხესა**), ისე ი ხმოვნით (**ლამაზი გოგოი**), ი ხმოვნით გავრცობის დროს გვხვდება **ი** (იოტიანი) ფორმებიც (**ერთი ბეწოი**). მოცემული შემთხვევა წარმოდგენილია ცენტრალურ და დასავლურ ქართლურში, იგი დამახასიათებელი იყო ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის. ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულ რიცხვით სახელს საზღვრული მრავლობით რიცხვში შეეწყობა (**მეორე ქართველები**). კილოკავების მიხედვით ბრუნვაში შეთანხმების დარღვევას ვხვდებით ცენტრალურ ქართლურში (**სამი ყაჩაღსა, თელი გუნდას**) და ქართლურის სხვადასხვა ხეობის მეტყველებაშიც,

კერძოდ, წერაქ-სიონურ და რეხის მეტყველებაში (დიდი ძმამ), ბორჯომის ხეობაში (საწყამი კაცმა). დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ მსაზღვრელს საზღვრული წევრი მოთხოვითა და მიცემით ბრუნვაში ეთანხმება. უნდა აღინიშნოს კასპის მეტყველების თავისებურებაც, სადაც დადასტურდა შებრუნებული წყობა, პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულისა (ქარი დიდმური— დიდმური ქარი, საორაგულე მცხეთური—მცხეთური საორაგულე), ასევე გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული (კუდა აზნაური მეტეხური—მეტეხური კუდა აზნაური, წყლის ხერხი ატენური—ატენური წყლის ხერხი).

2.3. რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „საზღვრულ წევრს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ერთგვარი ან არაერთგვარი განსაზღვრება“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 169).

ქართლურ დიალექტში ხშირად არის წარმოდგენილი რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულ წევრთან, რომელიც სხვადასხვაგვრად არის გამოხატული და ძალზე საინტერესო სურათს ქმნის. მაგალითად:

1. „მენენიკობაზე ათი საპანე ღვინო მაინც იხარჯებოდა, ხუთი ძროხა იკვლებოდა...“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 18). ამ მაგალითში წარმოდგენილია ორ ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელთაგანაც პირველი გადმოცემულია რიცხვითი სახელით (ათი საპანე), რომლის საზღვრულიც მეორე შემთხვევაში უკვე წარმოდგენილია როგორც მსაზღვრელი, იგი გადმოცემულია ზომის გამომხატველი არსებითი სახელით.
2. „ერთი ბებერი კაცი მოსულა მამაჩემთან ქვაბების მკალავი, სახელად ერქო აღია“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 7). საზღვრულ წევრთან დაკავშირებულია ორი ატრიბუტული მსაზღვრელი: ერთი კაცი, ბებერი კაცი.
3. „იმაჲ მოქონდა პატარა ხალიჩა და ერთი პატარა ხავერდის მუთაქა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 19). ეს მაგალითი საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში წარმოდგენილ ერთ საზღვრულ წევრს უკავშირდება სამი განსაზღვრება. მაგალითში წარმოდგენილია ორი ატრიბუტული განსაზღვრება, ხოლო მესამე

სუბსტანტიურია. მოცემული განსაზღვრებები გადმოცემულია სხვადასხვა მეტყველების ნაწლით და ახასიათებენ საზღვრულს სხვადასხვაგვარად.

4. „ერ ძირზე ყოფილიყო ცხრა ნაყარი მუხა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 63). საზღვრულ წევრთან დაკავშირებულია ორი ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელთაგან ერთია რიცხვითი სახელით გადმოცემულ, მეორე ზედსართავი სახელით.
5. „გამოქცეული იყო ერთი უპატრონო ბიჭი პარკაძე“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 64). ამ მაგალითში სამი ატრიბუტული განსაზღვრებაა, რომელთაგან პირველი გადმოცემულია რიცხვითი სახელით, მეორე-ზედსართავი სახელით, ხოლო მესამე, კი არსებითი სახელით.
6. „ზედაც იდვა ერთი გატყეპილი ცული ძველებური“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 127). ამ მაგალითში გვხვდება რამდენიმე სახის ატრიბუტული განსაზღვრება: პირველია რიცხვითი სახელით გადმოცემული (ერთი ცული), მეორე მიმდევრით გადმოცემული განსაზღვრება (გატყეპილი ცული), ხოლო მესამე არის ზედსართავი სახელით გადმოცემული პოსტპოზიციური განსაზღვრება (ცული ძველებური).
7. „-ოღონდ გამართე და ათი ურემი ხორბალი დაუდო ურემზე და გამოგზავნა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 320). აქ ორი ატრიბუტული მსაზღვრელი არის დაკავშირებული ერთ საზღვრულთან, ერთი რიცხვითი სახლით არის გადმოცემული და გამოხატავს რაოდენობას (ათი), ხოლო მეორე მსაზღვრელი არის არსებითი სახელით გამოხატული (ურემი).
8. „ერთი სათითე მარილი უნდა, ორი სათითე ფქვილი უნდა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში). მოცემულ მაგალითში წარმოდგენილია ორი განსაზღვრება ერთ საზღვრულთან, პირველი გადმოცემულია რიცხვითი სახელით (ერთი), მეორე კი არსებითი სახელისგან ნაწარმოებ ზედსართავ სახელს წარმოადგენს (თითი-სათითე).

ქართულურში გვხვდება ისეთ მაგალითებიც, როცა პირველ ადგილზე არის ზედსართავი სახლით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრება. მაგალითად:

1. „თეზამს საზღვარმს სამხრეთით დიდი მალალი ზედამნის ტყიანი მთა ანუ საგურამოს მთა, ჩრდილოეთით საზღვრამს დიდი მალალი ტყიანი მთა ნაქალაქარისა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 23). მოცემულ მაგალითში საზღვრულ წევრს (მთა) უკავშირდება ოთხი მსაზღვრელი, რომელთაგან სამი ატრიბუტულია, ხოლო ერთი სუბსტანტიური. ისინი ერთგვარი განსაზღვრებებია.
2. „ძველი ეკლესია სამება ეხლაც არი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 104). ამ შემთხვევაში პირველ ადგილზეა წარმოდგენილი ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრება (ძველი), მეორე ადგილზეა არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი (ეკლესია).
3. „ძველი დუმანისის სამხრეთით არის ძველი ქალაქი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 128). აქ გვხვდება როგორც ატრიბუტული, ისე სუბსტანტიური განსაზღვრება. ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია ზედსართავი სახელით (ძველი დუმანისის, ძველი ქალაქი), სუბსტანტიური მსაზღვრელია დუმანისის სამხრეთით.
4. „კაი დიდ თავეფს დაიკეთეფს“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 137). ორი ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი გვაქვს მოცემული (კაი თავეფს, დიდ თავეფს), ამათგან პირველი მოცემულია შეკვეცილი ფორმით კაი (კარგი), ხოლო მეორე ფუძის სახით არის წარმოდგენილი (დიდ).
5. „ჩვენ სოფელში არი ძველთა ძველი მონასტერი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 132). აქ გვხვდება ორი ზედსართავი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი (ძველთა ძველი–უძველესი ; ძველი მონასტერი).
6. „მდიდარი კაცის შვილები თიფლისში მიდიოდნენ, ღარიბები საქონელში და ღორში მიდიოდნენ“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 312). ამ მაგალითში გვხვდება როგორც ატრიბუტული მსაზღვრული (მდიდარი), რომელიც არის გადმოცემული ზედსართავი სახელით, მეორე კი სუბსტანტიურით (კაცის).
7. „შენ ვერ მეტყვიო, წადი და ნურც ძლიერ ჭკვიან კაცს კითხავო, შეტემუტა კაცს კითხეო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 303). წარმოდგენილია ორი ზედსართავი სახელით გადმოცემული განსაზღვრება (ძლიერი, ჭკვიანი).

8. „**ძველი ცხვრის მატყლი მშრალია**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 276). ამ წინადადებაში გვხვდება რამდენიმე სახის განსაზღვრება: ატრიბუტული ზედსართავი სახელით გადმოცემული განსაზღვრება (**ძველი ცხვრის**), სუბსტანტიური განსაზღვრება (**ცხვრის მატყლი**) და პოსტპოზიციური ატრიბუტული ზედსართავი სახელით გადმოცემული განსაზღვრება (**მატყლი მშრალია**).
9. „ამ მიწების სათავეში **ძალიან დიდი ხნის წერტილი** იდგა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში). ამ წინადადებაში წარმოდგენილია სამი განსაზღვრება, პირველი და მეორე არის ატრიბუტული (**ძალიან, დიდი**), მესამე განსაზღვრება კი სუბსტანტიური განსაზღვრებაა (**ხნის**).
10. „წინათი ამ ადგილასა **დიდი წყლის ტბორე** ყოფილა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში). აქ გვხვდება ორი განსაზღვრება, რომელთაგან პირველი არის ატრიბუტული (**დიდი**), რომელიც ზედსართავი სახელით არის გადმოცემული, ხოლო მეორე კი სუბსტანტიური (**წყლის**).
11. „ყეინადა **ახალ წეფე კაცს** დააყენებდნენ“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში). პირველი ატრიბუტული განსაზღვრება გადმოცემულია ზედსართავი სახელის ფუძის ფორმით (**ახალ**), გვხვდება მეორე განსაზღვრებაც, რომელიც არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრებაა (**წეფე**).
12. „**კარქი მაგარი ცომი** უნდა მოიზილოს, არც გაღვიება უნდა, არც არაფერი“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში). მოცემულ მაგალითში ორი ატრიბუტული განსაზღვრებაა, რომლებიც ზედსართავი სახელით არის გადმოცემული: **კარქი (კარგი), მაგარი**.

ხშირად ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი პირველ ადგილზეა წარმოდგენილი. მაგალითად:

1. „**ჩემი პაპის პაპა** ხურო იყო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 26). ამ შემთხვევაში ერთ საზღვრულ წევრთან დაკავშირებულია ორი არაერთგვარი განსაზღვრება, რომელთაგან ერთი არის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრება (**ჩემი**), ხოლო მეორე-სუბსტანტიური (**პაპის**).

2. „ჩემი მამის დედ-მამა წავიდნენ ქალის სანახავათა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 26). ამ მაგალითში წარმოდგენილია ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული (**ჩემი**), არის კიდევ მეორე სუბსტანტიური განსაზღვრება (**მამის**).
3. „-მითხარი, ვინ გასწავლა ჩემი სიტყვის მოსაგები სიტყვაო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 46). ამ წინადადებაში რამდენიმე ტიპის განსაზღვრება გვაქვს: **ჩემი სიტყვის**-ატრიბუტული განსაზღვრებაა გადმოცემული კუთვნილებითი, ნაცვალსახელით, **სიტყვის მოსაგები**-სუბსტანტიური განსაზღვრებაა, **მოსაგები სიტყვაო**-მიმღებობით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრება.
4. „ჩვენი სოფლის ბატონმა ქარუმიძემ მოიყვანა მზითეფში ჭახველიძე“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 21). კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი მრავლობით რიცხვში დგას (**ჩვენი**), რომელიც უკავშირდება საზღვრულს და ეს საზღვრული წევრი თავის მხრივ წარმოადგენს სუბსტანტიურ მსაზღვრელს მეორე საზღვრულისათვის (**სოფლის**).
5. „ჩემი მამის მამა წამოსულა ჯავახეთიდან“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 106). ამ წინადადებაში ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი (**ჩემი**), ხოლო სუბსტანტიურ მსაზღვრელად კი არსებითი სახელი (**მამის**).
6. „ის ძალიან ყოჩალი კაცი ყოფილა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 106). ერთ საზღვრულთან გვხვდება რამდენიმე განსაზღვრება: ერთი განსაზღვრება გადმოცემულია ნაცვალსახელით, ხოლო მეორე განსაზღვრება გვაქვს (**ძალიან**), რომელიც გამოყენებულია ზედსართავი სახელის „ძლიერის“ ნაცვლად (**ძალიან-ძლიერ ყოჩალი**), წარმოდგენილია აგრეთვე, შემდეგი განსაზღვრება (**ყოჩალი**), რომელიც ზედსართავი სახელითა გადმოცემული.
7. „ჩვენი პაპის პაპა დასახლებულა საეკლესიო მიწაზე და ემსახურებოდა ეკლესიას“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 132). ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვით (**ჩვენი**), სუბსტანტიური მსაზღვრელი კი არსებითი სახელით (**პაპის**).
8. „ჩემი ჯიელობის დროსა ექვსი კომი ვიყავით ამ სოფელში“ (იმნაიშვილი, II, 1974,

გვ. 132). ამ მაგალითში პირველი მსაზღვრელი არის ატრიბუტული, ნაცვალსახელით წარმოდგენილი (**ჩემი**), მეორე მსაზღვრელი არის სუბსტანტიური (**ჯიელობის**), ხოლო მესამე რიცხვითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრებაა (**ექვსი**).

9. „**ეს სამი გვარის ხალხი** მოსულან გორის მაზრიდან“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 107). ამ მაგალითში წარმოდგენილი მსაზღვრელები უკავშირდებიან სხვადასხვა საზღვრულ წევრს. გვაქვს ატრიბუტული მსაზღვრელიც და სუბსტანტიურიც. ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია ჩვენებითი ნაცვალსახელით (**ეს ხალხი**) და რიცხვითი სახელით (**სამი გვარის**), სუბსტანტიური მსაზღვრელი (**გვარის ხალხი**).
10. „**ანდრიული ვაზის ერთი ჯიში, შავი, თხელი ღვინო** იცის, გამოსავალი დიდი აქვს“ (გაჩეჩილაძე, 1970, გვ. 322). ამ მაგალითში ვხვდებით რამდენიმე მსაზღვრელს, პირველ ადგილზე მოცემულია ატრიბუტული მსაზღვრელი (ანდრიული ჯიში), მეორე ადგილზე სუბსტანტიური (ვაზის ჯიში), ხოლო მესამეზე- რიცხვითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული მსაზღვრელი (ერთი ჯიში), ხოლო საზღვრულ წევრთან (ჯიში) დაკავშირებულია განკერძოებული განსაზღვრება

ქართლურ დიალექტში დასტურდება ისეთი მაგალითებიც, როცა რამდენიმე სახის განსაზღვრებიდან პირველ ადგილზე გვხვდება სუბსტანტიური მსაზღვრელი. მაგალითად:

1. „**ხის ახალი ნაზარდი**, ვაზის შტო, ნამხრეული(ზრტ.)“ (სარალიძე, 1970, გვ. 317). პირველ ადგილზე წარმოდგენილია სუბსტანტიური მსაზღვრელი (**ხის**), ხოლო მეორე ადგილზე-ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც ზედსართავი სახელით არის გადმოცემული (**ახალი**).
2. „**მეზობლის კაცი გიორგა** ყოველ კვირას მიდიოდა ხოლმე იმ ბაზრობაზე და გოდრებით მიქონდა გასაყიდები“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში). სუბსტანტიური მსაზღვრელი პირველ ადგილზეა წარმოდგენილი (**მეზობლის**), მეორე ადგილზეა არსებითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრება (**კაცი**),

საზღვრული წევრი წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ნულოვანი მორფემით (**გიორგა-გიორგი**), გიორგა კნინობით-სალერსო ფორმას.

3. „კუთხეებში შემოეტარებინათ ანთებული სანთელი, ამასა აკეთებდა **ოჯახის უფროსი წევრი**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში). ზემოთ წამოდგენილი ორი მაგალითის მსგავსად, აქაც პირველ ადგილზე გვხვდება სუბსტანტიური განსაზღვრება (**ოჯახის**).

ჩვენს მიერ გაანალიზებულ საილუსტრაციო მაგალითებში დასტურდება ერთ საზღვრულთან დაკავშირებული ორი, სამი ან ოთხი მსაზღვრელი, რომელთაგან ზოგი გადმოცემულია ატრიბუტული განსაზღვრებით, ხოლო ზოგი კი-სუბსტანტიური განსაზღვრებით. ისევე როგორც, ქართულ სალიტერატურო ენაში ატრიბუტული მსაზღვრელად პირველ ადგილზე დასტურდება ზედსართავი („**ძველი ცხვრის მატყლი მშრალია**“), რიცხვითი („**ათი ურემი ხორბალი**“) და ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელი ხშირია, კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება („**ჩვენი სოფლის ბატონმა**“, „**ჩემი მამის დედ-მამა**“). გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა პირველ ადგილზე წარმოდგენილია სუბსტანტიური მსაზღვრელი და შემდეგ ატრიბუტული („**ოჯახის უფროსი წევრი**“). ეს მაგალითები დასტურდება ქართლურის თითქმის ყველა კილოკავში. პოსტკოზიციური რიგის რამდენიმე მსაზღვრელი ერთ საზღვრულთან ქართლურ დიალექტში ვერ დაიძებნა.

2.4. ატრიბუტული მსაზღვრელი ტოპონიმებში

ქართლური დიალექტში ხშირად დასტურდება ამა თუ იმ ადგილის სახელი, რომელიც წინადადებაში სინტაქსურად ატრიბუტულ მსაზღვრელს წარმოადგენს. მაგალითად:

1. „იმერეთში მოსავალი ვერ მიუღიათ; **ხრიოკი ადგილი ყოფილა**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 84).
2. „მაშინ აქა არავინ არ ყოფილა, ტყე ყოფილა და **სახნავი ადგილი**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 68).

3. „სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოუდის ბერშოულა მდინარე“ (ჩაწერილია სოფ. ზერტში).
4. „სოფლის თავში და ბოლოში გადიოდა სარწყავი რუები, ზემოთ რუ „ზემარუ“ ერქვა, ქვემოთა რუს კი „ქვემარუ““ (ჩაწერილია სოფ. ზერტში). ზემოთ რუ ნიშნავს ზემოთა რუს, რომლისგანაც ნაწარმოებია „ზემარუ“, ქვემოთა რუსგან კი ნაწარმოებია „ქვემარუ“.
5. „ჩვენი სოფლის ახლოს არის ტყეები:ჰაბულბუკი(//აბულბუქი), რუსის ჭალა, რაკლიანის ჭალა, დიდველი, პატრველი...გივია (გივიას) ხევი, სარქისა ხევი, აბანუების ხევი, შავ კლიდის ხევი, წვრილი ქედები, ნაკაფი, დიდვაკე... ორკაპი კლდე, იფნიანი ქედები, პრეტყელი ქედი, გრძელი ქედები, ჟანტიები, სიმონა ქედი... დიდგრაკლიანი, ხავსიანი ველები...“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 116). ეს მაგალითი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გვხვდება რამდენიმე ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც გადმოცემულია ტოპონიმებით. აქვე გვაქვს ისეთი ტოპონიმები, რომლებიც თავდაპირველად მსაზღვრელ-საზღვრული იყო, ხოლო ახლა კი კომპოზიტების სახით არის წარმოდგენილი: დიდველი (დიდი ველი), პატრველი (პატარა ველი), დიდვაკე (დიდი ვაკე), მოცემულ კომპოზიტებში ზედსართავი სახელი ფუძის სახითა წარმოდგენილი. აღნიშნულ მაგალითში გვხვდება -იან ყოლა-ქონების სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებიც: იფნ-იან-ი ქედები, ხავს-იან-ი ველები.

ასეთი მსგავსი ფორმები (იფნიანი, ხავსიანი) დასტურდება ალგეთის ხეობაშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ -იან(-ან) ქონების მაწარმოებელი სუფიქსით ნაწარმოები სახელები, რომლებიც განსაზღვრებას (მსაზღვრელს) წარმოადგენენ არსებითადაა ქცეული და საზღვრულის გარეშე იხმარება. ეს სახელები შესაძლებელია მცენარეთა სიმრავლეს გამოხატავდეს ან ტოპონიმებს წარმოადგენდეს. მაგალითად: ტყიანი („ტყიანში ფიჭვი იცის“; კლდ.), ჭილიანი (კლდ.), კაკლიანი (სათიბია ს. მაწევნისა) (სალარიძე, 1978, გვ. 79-80).

ატრიბუტულ მსაზღვრელიანი ტოპონიმები დასტურდება ფრონეს ხეობის ქართლურში. ეს ტოპონიმები ზედსართავი სახელის შემცველი კომპოზიტებით არის გადმოცემული, სადაც ზედსართავი სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით.

მაგალითად: „მყრალტბა (მყრალი ტბა)“; „დიდახო (ადგილი ალში)“; „დიდმიწები (ადგილი ხუნდისუბანში)“; „თეთრკლდიანი სერი (ადგილი ოძისში)“; „შავჭალები (ადგილი ქვენატკოცაში)“; „მშიერი მამული (სახნავი ადგილი ახალშენში)“; „გრძელი მიწა (ადგილი ალბირაში, ზნაურის რაიონში)“; „კობიჭალების წყარო (მოხისში)“; „კობტობა (ადგილი ნულში)“ (კობერიძე, 2012, გვ. 42).

როგორც მ. კობერიძე აღნიშნავს: „ფრონეს ხეობის ქართლურში, ზედსართავ სახელიანი ტოპონიმები მიგვანიშნებენ სათიბების, სამოვრების, სახნავ-სათესი ადგილების, სოფლებისა და სხვადასხვა დასახლებული პუნქტების რაიმე ნიშან-თვისებაზე“ (კობერიძე, 2012, გვ. 41).

ამრიგად, ატრიბუტული მსაზღვრელი ტოპონიმებში დასტურდება სხვადასხვა სახით, კერძოდ, შეიძლება იყოს ცალკე მდგომი მსაზღვრელი (ბერშოულა მდინარე) და საზღვრულთან ერთად შერწყმული (დიდვაკე), ასევე -იან სუფიქსით ნაწარმოები (კაკლიანი) და სხვა. მსგავსი ტოპონიმები გვხვდება ფრონეს ხეობის ქართლურის მეტყველებაშიც (შავჭალები, მშიერი მამული). ამგვარი ტოპონიმები ჩვეულებრივ დასტურდება სალიტერატურო ქართულში

თავი III. სუბსტანტიური მსაზღვრელი ქართლურში

3.1. სუბსტანტიური მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები

როგორც ცნობილია, „სუბსტანტიური განსაზღვრება გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით ან ამავე მნიშვნელობით გამოყენებული სხვა

მეტყველების ნაწილით“ (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 143). იგი მიუთითებს საგანზე, სუბსტანტიური მსაზღვრელად გამოყენებული მეტყველების ნაწილები გასუბსტანტივებულია. მაგალითად: „პატარის დარდი წაჰყვა ლიზიკოს; იმ დალოცვილის რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა. პატარა ზედსართავი სახელია, დალოცვილი -მიმღეობა, მაგრამ მოყვანილ მაგალითებში ერთსაც და მეორესაც არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს და სინტაქსურად ორივე სუბსტანტიური განსაზღვრებაა“ (კვაჭაძე, 1988, გვ. 160).

სუბსტანტიური მსაზღვრელი ქართლურ დიალექტსა და მის კილოკავებში ხშირად გამოიყენება. მაგალითად:

1. „კამეჩის რძე მეტი სუყეა, ერბოიანია“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 74).
2. „აქ ქვის ყორე ყოფილიყო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 61).
3. „მამაჩემს ხის გუთანს ქონდა; რკინისა არ შეიძლებოდა. მერე მისცეს უფლებათ. მერე იყიდა რკინის გუთანს“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 10).
4. „ეგ ხალხის ბელელია, იმათთვის მინდა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 17).
5. „მერე ისმება სასმელი ნათესავების სადღეგრძელო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 31).
6. „ბამბის პატრუქი ჰქონდათ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 121).
7. „შუაზე იდო რკინის კერა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 135).
8. „შენი გუნების ქალი ორი იყო დაბადებულიო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 305).
9. „ადგება ეს კაცი, მისცემს ორ ტოტს-ერთ ვაშლის ტოტს, ერთ ვაზის ტოტს“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 305).

სუბსტანტიურმა მსაზღვრელმა შესაძლებელია სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა გამოხატოს: აღნიშნავს კუთვნილებას, მასალას, დანიშნულებას, საგანს, რომელიც ეკუთვნის საზღვრულით აღნიშნულ საგანს, წარმომავლობას და სხვა (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 144).

ა) კუთვნილების გამომხატველი სუბსტანტიური მსაზღვრელი:

1. „ქველიძეების ბატონი იყო ცხინვანელი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 9).
2. „მამაჩემი იყო ამილახვრის ყმა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 10).

3. „კედელას შვილი არა ჰყამდა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 11).
4. „ნეფემა ფეხი უნდა იბრუნოს და მიდის ცოლის სამშობლოში“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 31).

ბ) წარმომავლობის გამომხატველი სუბსტანტიური მსაზღვრელი:

1. „მარტო ხევის წყალი მოდიოდა ავდარში“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 20).
2. „ეგენი მთიულების ჩამომავალნი არიან“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 19).
3. „ლიახვის ხიდი ადრე გაკეთდა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 71).
4. „ლობიო ჯიშები: თეთრი ცანაო, წითელი ცანაო, სარი ლობიო, მინდვრის ლობიო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 284).

გ) მასალისა ან ნივთიერების გამომხატველი სუბსტანტიური მსაზღვრელი:

1. „ალუბლის მურაბა როგორც შვინდი ისე კეთდება“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 36).
2. „უწინ ხილის არაყის გამოხდა არ ვიცოდით. ჭაჭის არაყის გამოხდა ვიცოდით“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 38).
3. „აქ ქვის ყორე ყოფილიყო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 61).
4. „მიწის სახლი ემეეთხარათ და იქ უცხოვრით“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 62).
5. „ბამბის პატრუქი ჰქონდათ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 121).
6. „ხილის პადვალი ცალკეა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 122).
7. „უწინ ხის გუთანნი იყო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 122).
8. „შუაზე იდო რკინის კერა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 135).
9. „მხლის ქადა ვიცით ჭარხლის კლავისა (ჭარხლის კლავი-ით: 'ჭარხლის ფოთოლი') ან წითელი მხლისა“ (სალარიძე, 1978, გვ. 183).
10. „შაბათ დილით მერე გაუკეთებთ რძის ფუასა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

დ) დანიშნულების გამომხატველი სუბსტანტიური მსაზღვრელი:

1. „წავიდა და დადიოდა სოფელ-სოფელ, კითხულობდა: შვილობის წამალი ხო არვინ იცითო?“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 96).
2. „ერთ კდემში უკვდავების წყალი გადმოდიოდა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 97).

3. „კორკოტობამდე იყო სახლთანგელოზობა ანუ **სახლის ანგელოზი**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

ე) სუბსტანტიური მსაზღვრელი გამოხატავს რომელიმე საგნის კუთვნილებას:

1. „**მთელი საგურამოს ხალხი** სუ გარბოდა იქა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 16).
2. „დაალაგებდნენ ჯიხვევსა ფოდნოსებზე, მიიტანდნენ **დედოფლის მაყრებთან** და ეტყოდნენ: ჯაი მასპინძელი კყვავს და გამხიარულდითო!“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 31).
3. „**ოჯახის უფროსები** იყვნენ ჩემი დედაი და ბიძაი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 33).
4. „**ადმოსავლეთის ხენწიფეი** წედავა **დასავლეთის ხენწიფეს**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 93).
5. „**ბიჭის მამამ** უნდა გაგზავნოს მაჭანკალი იმ ქალთან, ვინც იმ ბიჭ მაძონს“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 142).
6. „ხაზეინმა დაითხოვა ეს ხალხი და ამ ბიჭმა შეასრულა ცხრამეტი **კაცის საქმე**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 309).
7. „ყოფილა თურმე **თათრის მეფე**, შეხვედრია ქართველს (მეფეს)“ (სალარიძე, 1978, გვ. 198).
8. „სანამ ამ კვერების ჭამას გადაწყვეტდნენ მანამდე მარხულობდნენ **სუფსარქისის მარხვასა**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
9. „**კორკოტობის დღე** რო გამოვთვალოთ აღდგომიდანა შვიდი კვირა უნდა გადავთვალოთ უკანა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
10. „იყო კიდე **ქუმელობის ტრადიცია**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

ვ) სუბსტანტიური განსაზღვრება გამოხატავს სხეულის ნაწილს:

1. „**დღეს ჩვენ** უნდა მიგვეტანა საქონლის **ბეჭის ძვალი**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 310).
2. „გავთლიდით **ბატის კანჭის** ძვალსა „ პეროთა, გავაკეთებდით კვრის მურის მელანსა და მითი ვწერანდით **ბეჭის ძვაზე**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 310).

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ქართლურ დიალექტში სუბსტანტიური მსაზღვრელის გამოხატვა ხდება სხვადასხვა საშუალებებით. თანამედროვე ქართულსა და ქართლურ დიალექტში სუბსტანტიური მსაზღვრელის გადმოცემის საშუალებები მსგავსია, ერთი და იგივე მნიშვნელობით: აღნიშნავს კუთვნილებას (**ამილახვრის ყმა**), მასალას (**მიწის სახლი**), დანიშნულებას (**შვილობის წამალი**), რომელიმე საგნის კუთვნილებას (**კორკოტობის დღე**), წარმომავლობას (**მინდვრის ლობიო**), სხეულის ნაწილს (**ბეჭის ძვალი**)...

3.2. მართული მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან

მართული განსაზღვრება (მსაზღვრელი) გადმოიცემა არსებითი სახელით, რომელიც ნათესაობით ბრუნვაშია დასმული. იგი ყოველთვის წინ უსწრებს საზღვრულს, ანუ პრეპოზიციური წყობისაა და უცვლელად უკავშირდება მას (კიზირია, 1974, გვ. 210).

მართული განსაზღვრება თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივ გაუვრცობელია, მაგრამ იშვიათად გვხვდება გავრცობილი ფორმითაც (კვაჭაძე, 1988, გვ. 182). ქართლურ დიალექტში კი დასტურდება გაუვრცობელი ფორმით. მაგალითად:

1. „ეს **ბატონის მოურავი** წავიდა პოლიციაში“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 84).
2. „იქ არიან მაგათი **გვარის ხალხი**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 19).
3. „დილით გამოვიდნენ, ნახეს, რომა ერთი დიდი მშვენიერი **ჩინარის ხეა** კარებზე ამოსული“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 328).
4. „გამოუარა ერთმა **სოფდაგრის ცოლმა** და ჰკითხა: შვილო, რათა ტირიო, მითხარიო, იქნება შენი დარდი გაგიქარვომეო!“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 43).
5. „კანძი უფრო **მთის ხალხმა** ვიცით, აქ კიდე მატყლი იციან: მატყლი ხო არა გაქო“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 276).
6. „ამ კაცმა მიეპარა და **ხაზეინის ცხენს** ცხვირი მოჭრა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 308).
7. „ჩემი პაპა და მისი ძმები გემეექნენ **ბატონსა ბატონყმობის დროს**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 58).

8. „ერის ხალხს ისე გეეხარდათ, რო ორ დღეს აქეფეს მექა მერებაშვილი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 41).
9. „მინდვრიდან გლეხის საქონელს მორეკამდნენ, დაიჭერდნენ და ახვეწებდნენ გლეხებს: “ბატონო, საქონელი გამოუშვი!” (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 12).
10. „ცხვრის ტყავს მოაქუჩეთ და ტლუფს შავიკერამთ საზამთროთ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 140).
11. „ყმა იყო ბატონის უფლების ქვეშ“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 10).
12. „სოვდაგარი სახლში წამოიდა, შეკმაზა ერთი ცხენი, აუკიდა ერთი ხურჯინი სამსე ოქროს ფულითა, უთხრა თავის მოჯამაგირეს: ეს კაცი უეჭველათ იპოვიო (გვარი, სახელი, სახლის ნუმერი ჩაუწერა ქალაქში)“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 279).
13. „რო ჩაყრიან ჭურჭელში და ხელის გულით გადასწორებენ, გადასილავება არი“(კავთ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 82).
14. „წენგოიან კაკალსა გადაჭრიან შუაზე და დანის პირით ამოიღებენ ნიგოზსა, გაკუჭნაო, იმაზე იტყვიან“(საგურ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981, გვ. 102).
15. „შავფხის ფქვილით, ან პოშოლის ფქვილით მოვზელამთ მაგარ ცომსა“ (სალარიძე, 1978, გვ. 186).
16. „სოფლის სახელი კი ერთ ბერსა უკავშირდება“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
17. „ამ მდინარიდან ჩვენს წინაპრებს თიხის ღარით გადაჰყავდა წყალი“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
18. „ღორის ქონით და სოდთ აკეთებდნენ ამ საპონს“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
19. „ცოტა მინდვრის მოსავალიც მოქონდათ ხოლმე“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
20. „ერბოს ქადას გამააცხოვდნენ“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
21. „წინათა ქორწილში ცხვებოდა ჯვრის პური, რომელსაცა ჯვრის ფორმა ქონდა“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
22. „ურმის გზა მიდიოდა ხოლმე დუბეებისკენ“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

23. „თამადა წამოდგებოდა იტყოდა **მაყრების სადღეგრძელოსა**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

სუბსტანტიური მსაზღვრელს ზოგ შემთხვევაში დაკარგული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ნაწილი და იგი გარეგნულად ემსგავსება ატრიბუტულ მსაზღვრელს, მაგრამ შინარსობრივად და მისი პირველსახის გათვალისწინებით ის სუბსტანტიური მსაზღვრელია. მაგალითად:

1. „**თოფი ხმა** რო გაეეგონა, მაშინვე დურბინდით დეეწყო ცქერა“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 17).
2. „იმან ორი **თხილი ჯობი** მიიტანა და ცოლს გადუყარა კალათში“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 8).
3. „მენახირემ მოთხუა **გზი ფული**, ცხენი, იარაღი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 94).
4. „რო დაქორწილდა ბიჭი, გააკეთა **ანწლი ქობი**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 82).
5. „**წისქვილი ქვა** ორ ნაჭრათ არი“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 274).
6. „ჩემმა ზურაბმა იცის, **ქათმი კისერი** რო ამოულო, ისე გახიწნის, ნამწეწ ხორცს არ შეარჩენს ზედა (რუისი)“ (მესხიშვილი, 2006, გვ. 55).
7. „ერთათ რო მივდივართ სადმე, სამძიმარია თუ რაც არი, შავგროვდებით **უბნი ქალები**, წავალთ ეღრთათა, მაგრა გზაში მაინც დავწალიკდებით ხომე(კავთ.)“ (მესხიშვილი, 2006, გვ. 74).
8. „რო დახანდება გინდა ფქვილი, გინდა **პური მარცვალი**, ბრინჯი, რამეი, ჭია გაუჩდება იმასა(ბროწლ.)“ (მესხიშვილი, 2006, გვ. 75).
9. „საწყალ მანისამართლა ქვა აღმართში მეეწია, ჯერ **ქმრი დარდი** არ გამონელებიყო, ახლა შვილი მოუყვა ავარიაში(კავთ.)“ (მესხიშვილი, 2006, გვ. 147).
10. „ნეტა იმითანა **მამი შვილი** მაინც არ იყოს, ხეზე რო ავა იმხელა ტოქეი, სუ ესე კანკალებს! (აძვი)“ (სარალიძე, 1970, გვ. 315).
11. „ძველათ იყო ერთი თამაში სახელად **ლახტი წრე**“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).

ანალოგიური მოვლენა შეინიშნება ფრონეს ხეობის ქართლურ მეტყველებაშიც. მაგალითად: „უთხარი ფულსა **დღეობი მერე** მივცენ“; „ამ **ვაჟი სილამაზი** ხმამ თვით **ხენწიფი შვილი** ყურანდინ მიაღწია“ (კობერიძე, 2008, გვ. 134). მოცემულ მაგალითში, სუბსტანტიურ მსაზღვრელს (**ვაჟი-ვაჟის**) ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელი (**სილამაზე-სილამაზი-სილამაზის**), რომელთაც ახლავს ერთი საზღვრული (**ხმამ**), აქვე გვხვდება კიდევ სხვა სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელსაც მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილი (**ხენწიფი შვილი**).

ამრიგად, მართული მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან ქართლურ დიალექტში განხვავებულია ქართული სალიტერატურო ენისაგან იმ მხრივ, რომ აქ გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ისეთი ურთიერთობა, როცა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი დაკარგულია და გარეგნულად სუბსტანტიური მსაზღვრელი დამსგავსებია ატრიბუტულს, მაგარამ მისი მნიშვნელობა სუბსტანტიური მსაზღვრელისა (**ლახტი წრე, უბნი ქალები, თხილი ჯოხი, წისქვილი ქვა**). ამგვარი ფორმები დასტურდება ქართლურის თითქმის ყველა კილოკავში, აგრეთვე გვხვდება ფრონეს ხეობაშიც (**ხენწიფი შვილი**). ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად ქართლურში დასტურდება გაუვრცობელი ფორმები (**გლეხის საქონელს, დანის პირით**).

3.3.მართულ-შეთანხმებული (ნანათესაობითარი)

მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის წარმოდგენილი, მართვა-შეთანხმება გვაქვს მაშინ, თუ ნათესაობითი დასმული მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგაა, ხოლო ნათესაობითის ფორმა მთლიანად ფუძედაა ქცეული და ხელმეორედ იბრუნება, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი. ძველ ქართულში ნაგენეტივარი მსაზღვრელის მართვა-შეთანხმება შემდეგნაირად ხდება: „მსაზღვრელი მართულია ნათესაობითი და საზღვრულს ეთანხმება თითქმის ყველა ბრუნვაში და ნარ-თანთან მრავლობით რიცხვში“ (კიზირია, 1946, გვ. 330).

მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში განსხვავებულადაა წარმოდგენილი ძველ ქართულთან შედარებით.

მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ხდება სახელობითში, მიცემითსა და წოდებითში, ხოლო მართულია სახელობითსა და ვითარებით ბრუნვებში, რომელიც გავრცობილია. ნათესაობითსა და მოქმედებითში არ ხდება მართვა-შეთანხმება (კვაჭაძე, 1988, გვ. 182).

ქართულ დიალექტში დასტურდება მართულ-შეთანხმებული (ნანათესაობითარი) მსაზღვრელიც. მაგალითად:

1. **„ნაბდები**
მატყლისა იყო“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 121). თუ მართულ მსაზღვრულს ადგილს შევიცვლით იგი მეორედ იბრუნება: **მატყლ-ი—მატყლის—მატყლისა**, მის ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმა (**მატყლისა**).
2. „მას არ შეეძლო, რო **სახლი** ეემენებინა **ქვიტკირისა**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 10). ამ მაგალითში მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული გათიშულია, მსაზღვრელი გავრცობილია ნათესაობით ბრუნვაში.
3. „ ატენის ხეობაში არის **საყარაულო დანახვისაი**“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 5). მოცემულ მაგალითში მსაზღვრელი (**დანახვისაი**) ხელმეორედ იბრუნვის ნათესაობითის გავრცობილი ფორმით და ამჟამად წარმოდგენილია უკვე სახელობით ბრუნვაში.
4. „საწოლი **კრაოტები რკინისაა, ფიცრისა** როგორ შეიძლება, სირცხვილია“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 122). ამ მაგალითში ორ მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელთან (**რკინისაა, ფიცრისა**) დაკავშირებულია ერთი საზღვრული წევრი, რომელიც მრავლობით რიცხვშია (**კრაოტები**).
5. „საქონლის დასაბმელი **კავი ხისა**“ (გაჩეჩილაძე, 1970, გვ. 331). ნანათესაობითარი მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია, გავრცობილია ა ხმოვნით და ხელმეორედ იბრუნვის: **ხე—ხ-ის—ხ-ის-ა**
6. „იყო **ქარავანი ცხენისა და აქლემებისა**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 280). ნანათესაობითარ მსაზღვრელად წარმოდგენილია ორი მსაზღვრელი (**ცხენისა და აქლემებისა**), რომელიც იბრუნვის ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმით. მაგალითად: **ქარავან-მა ცხენისა-მ, ქარავან-ს ცხენისა-ს** და სხვა.

7. „ქარა თხელი ფიცრის რკალი, ქარა ცხრილისა, საცრისა და მისთ. (თონ.. დვალ., ლოლოვ.)“ (მენტემაშვილი, 1970, გვ. 275). მოცემულ მაგალითში მსაზღვრელება: **ცხრილისა და საცრისა**, რომელიც კვლავ იბრუნვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.
8. „იმან ერთ დიდ დაცემულ ალაგს წინასწარ ჩაფლა ტიკები ღვინისა“ (სალარიძე, 1978, გვ. 198). საზღვრული მრავლობით რიცხვშია (ტიკები), მსაზღვრელი კი ხელმეორედ ნაბრუნებია და გავრცობილი ფორმითა წარმოდგენილი, იგი სახელობით ბრუნვაში უნდა ვიგულისხმოთ (ღვინისა).
9. „ბაკო მეტსახელი კაცისა (თონ., დვალ., ლოლოვ.)“ (მენტემაშვილი, 1970, გვ. 255). ნანათესაობთარი მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია, გავრცობილია ა ხმოვნით და ხელმეორედ იბრუნვის: **კაცი—კაცის—კაცისა**
10. „გიდელი, გიდელა პატარა კალათი წნელისა (მარაბ.)“ (მენტემაშვილი, 1970, გვ. 259). მართულ-შეთანხმებულია მსაზღვრელი „წნელისა“, რომელიც საზღვრულს მოსდევს და ხელმეორედ იბრუნვის.

ბორჯომის ხეობაშიც დასტურდება „ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული მსაზღვრელი გავრცობილი ფორმით ინვერსიულ წყობაში. მაგალითად: 1. სამი **ბრიგადა** არის **მემინდვრეობისა** და ერთი **მებალეობისა** (დვირი), მოცემულ მაგალითში ერთ საზღვრულთან დაკავშირებულია ორი მსაზღვრელი ინვერსიული წყობით (რიგით) 2. ეს **ადგილი** ყოფილა **ბატონისა** (ტამრ), 3. ხე **ტყე** იყო **კნიაზისა** (ახალდაბა) და სხვა“ (იმნაიშვილი, 1956, გვ. 95).

მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან ქართულ დიალექტში საინტერესო ვითარებას ქმნის, იგი ზოგ შემთხვევაში, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებულად არის წარმოდგენილი. თავისებურებას ქმნის ბორჯომის ხეობაში წარმოდგენილი მართულ-შეთანხმებული მსაზღვრულის ინვერსიული წყობა (ეს **ადგილი** ყოფილა **ბატონისა**). იგი უმეტესად ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად არის წარმოდგენილი (**ნაბდები მატყლისა, კრაოტები რკინისაა, ფიცრისა**).

3.4. ემფატიკურხმოვნაიანი მართული მსაზღვრელი (განსაზღვრება)

ქართლურ დიალექტში განსაზღვრების საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მიმოხილვა აქვს წარმოდგენილი ალექსანდრე ლლონტს „ფილოლოგიის ჩანაწერებში“. მისი მსჯელობა ეხება „ემფატიკურხმოვნიან გენტიურ მსაზღვრელს ქართლურში“, სადაც მკვლევარი განმარტავს, რომ ქართლური დღეს თითქმის აღარ განსხვავდება, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის მიხედვით სალიტერატურო ენისაგან, მაგრამ არსებობდა წინა პერიოდი, სადაც ეს სხვაობა კარგად იყო გამოხატული. მკვლევარს მხედველობაში აქვს ემფატიკურხმოვნიანი გენტიური მსაზღველის ხმარების წესი და მისი ადგილი ქართლურ დიალექტში. ახალი ქართული ლიტერატურული ენისათვის ბუნებრივია, როდესაც გენტიური მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს და ამ შემთხვევაში იგი არ ირთავს ემფატიკურ ა ხმოვანს. მაგალითად: „**ლამის მეხრები გვერდით ედგნენ ყარაულად**“ (ლლონტი, 1980, გვ. 106).

გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა საზღვრული წინ უსწრებს გენტიურ მსაზღვრელს. ასეთ წყობას „ინვერსიულ რიგსაც“ უწოდებენ და მსგავს შემთხვევაში კი გენტიურ მსაზღვრელს ემფატიკური ა ხმოვანი უვითარდება. მაგალითად: „**ხვალ სხვა ცხოვრება იწყებოდა, დღე დიდი შრომისა და შემოქმედებისა**“ (ლლონტი, 1980, გვ. 107).

ძველ ქართულში, უფრო მეტად დამახასიათებელი იყო ემფატიკურხმოვნიანი გენტიური საზღვრულ-მსაზღვრელის წყობა, ანუ ინვერსიულ რიგი. ასეთი რიგის დროს წარმოდგენილი ემფატიკური ხმოვნი თან ირთავს **ჟ**-ს, რომელიც არის სახელობითი ბრუნვის ნიშანი. იგი ბუნებრივი მოვლენა იყო ძველი ქართულისათვის, მაგალითად: „**კურთხევაჲ მონაზონებისაჲ**“, „**ალი ცეცხლისაჲ**“ (ლლონტი, 1980, გვ. 108).

რაც შეეხება ქართლურ დიალექტს, ის მიჰყვება ძველი ქართულის ამ მოცემულ ნორმას, განსხვავებით იმისა, რომ აქ ემფატიკურხმოვნიანი გენტიურ მსაზღვრელთან სრულად ისმის ი ხმოვანი. ავტორის თქმით: „ქართლურ ბუნებრივ საუბარში, ჩვეულებრივი გაბმული მეტყველების დროს, საზღვრულს წინ უსწრებს ხოლმე გენტიური მსაზღვრელი, რომელიც ირთავს ემფატიკურ ხმოვანს და თანაც იმატებს სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანს. ძველი ქართულის ეს თავისებურება ბუნებრივია ახალი ქართულისათვის და, უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართულიდან კი არ უნდა

იყოს იგი გადმოსული ქართლურში, არამედ პირიქით, ქართლურიდან უნდა იყოს დამკვიდრებული ძველ ლიტერატურულ ენაში“ (ღლონტი, 1980, გვ. 109).

ალექსანდრე ღლონტმა ეს კვლევა ჩაატარა ატენის ხეობის ენობრივი ნორმების დაკვირვების შედეგად. მაგალითად: „აქ რკინიგზაი იყო ზეზმანისაი“; „ძალია დწყალობდა დანახვისისაი“; „საწყალ ჯავრი ჩადყვა დედისაი“; „მაწონი შეეყენებია კამეჩისაი და ძტუმრებ ეპატიჯებოდა“; „ჩამოდგა ჩრდილი გორიჯვრისაი“; „ბაღი ეჭირა მოსავლეღათ კოლექტისაი“; „კალო დავინახე ჩემი მაზლისაი“ (ღლონტი, 1980, გვ. 109).

მკვლევარის მიერ დამდებნილ მაგალითებში ჩანს, რომ მსაზღვრელ-საზღვრული სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. სადაც ნაგენიტივარი სახელი ჯერ ირთავს ემფატიკურ ა ხმოვანს და სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანს სრული სახით ღებულობს (ღლონტი, 1980, გვ. 110).

ქართლურ დიალექტში ემფატიკურხმოვნიაანი მართული მსაზღვრელი ნაკლებად პროდუქტულია გამოყენების თვალსაზრისით, მისი მაგალითები დასტურდება ქართლურის სხვადასხვა კილოკავსა, თუ თქმაში, მაგრამ მცირე რაოდენობით. მაგალითად:

1. „აქა სასახლე იყო თამარ დედოფლისაი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 66). ამ მაგალითში წარმოდგენილი განსაზღვრება ფუძის სახით არის მოცემული და მასთან შეწყობილია ემფატიკურხმოვნიაანი საზღვრული, რომელიც არსებითი სახელით არის გადმოცემული.
2. „რომელიც კარგი იქნება, სხვილი, სუფთა, პირველი ხარისხისაი, გადაარჩევ, თუ არ გინდა, ისე დააწყობ“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 289). მსაზღვრელი მოცემულია სახელობით ბრუნვაში, მასთან შეწყობილი ემფატიკურხმოვნიაანი საზღვრულიც სახელობით ბრუნვაშია.
3. „ბოზბაში შეიძლება ძროხისაი და ცხრისაი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 34). მოცემულ მაგალითში მსაზღვრელთან შეწყობილია ორი ემფატიკურხმოვნიაანი საზღვრული (ძროხისაი, ცხერისაი).

აღსანიშნავია კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც დაკავშირებულია მართულ-შეთანხმებულ, ნანათესაობითარ მსაზღვრელთან, კერძოდ, ეს ეხება არაგვის ხეობის ქართლურს, სადაც ნანათესაობითარი მსაზღვრელი იშვიათად დასტურდება და ზოგჯერ შესაძლებელია სახელის ბოლოში -ა-ს მაგივრად -ი-ს დართვა მოგვევლინოს. მაგალითად: „**საყურ-ბეჭედი ოქროსი** გამოუგზავნოდ დასაო; ეს დუნდუა რომ მივიდა ალექსანდრეს ოჯახში, **ცოლმა ალექსანდრესი** ვერ იცნო...“ (იმნაიშვილი, 1953, გვ. 324).

ქართლურ დიალექტში ემფატიკურხმოვნიანი ნაგენეტივარ მსაზღვრელის დადასტურება მიგვანიშნებს ამ კილოს სინტაქსურ თავისებურებებზე. ასეთი ფორმები დასტურდება ფრონეს ხეობის ქართლურის მეტყველებაში (კობერიძე, 2008, გვ. 135). თუმცა ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით ზემოიმერულსა და ჯავახურში (მოწინიძე, 1973, გვ. 48; ბერიძე, 1988, გვ. 79).

ქართლურ დიალექტში ემფატიკურხმოვნიანი მართული მსაზღვრელის მაგალითები იშვიათად დასტურდება და თუ დასტურდება ძირითადად ცენტრალურ ქართლურში ვხვდებით (**თამარ დედოფლისაი, ჩრდილი გორიჯვრისაი**), მოცემულ მაგალითებში მსაზღვრელ-საზღვრული სახელობითი ბრუნვის ფორმითა წარმოდგენილი, ჩვენს მიერ ჩაწერილსა და ქართლურ ლექსიკონებში დაძებნილ მაგალითებში ემფატიკურხმოვნიანი მართული მსაზღვრელი სხვა ბრუნვის ფორმით დაიძებნა. წარმოჩინდა ისეთი შემთხვევებიც, როცა ემფატიკურ -ა ხმოვნის მაგივრად -ი-ს ვხვდებით, ეს მოვლენა დამახასიათებელია არაგვის ხეობის ქართლურის მეტყველებისათვის (**საყურ-ბეჭედი ოქროსი**). ემფატიკურხმოვნიანი მართული მსაზღვრელი დასტურდება აგრეთვე, ფრონეს ხეობაშიც.

3.5 მართული მსაზღვრელი ტოპონიმებში

ქართლურ დიალექტში დასტურდება მართული მსაზღვრელი ტოპონიმებში. მაგალითად:

1. „ჩვენი სოფლის ახლოს არის ტყეები: ჰაბულბუკი(//აბულბუქი), რუსის ჭალა, რაკლიანის ჭალა, დიდველი, პატრაველი, წოწოლას სერი, გრაკლიანის თავი, პატარა კვირაცხოველი, მარდი მძვარის ქედები, ...გილიდარის ხევი, ნაქერალი“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 116).

2. „სახნავ ალაგებია: აბანუების ხევი, ბაღის ქედი, სანაშხირუების ნიადაგები, აბულბუკის მიწები, თელის მიწა(თელა დგა), გილდარის მიწა... ნაკაფის მიწა, დიდვაკის მიწები, წყარუების მიწები... ბატონის მიწები“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 116).
3. „ჩვენი ნიადაგზე წყაროებია: დანელას წყარო, ახალი წყარო, კლდის წყარო, ავაზნის წყარო..სანახშიროს წყარო, იფნის წყარო, ფურნის წყარო, გილიდარის წყარო, წიფლის წყარო, მგილს წყარო, სტაქნის წყარო, თხილის წყარო, ბალსანას სანაშხიროების წყარო, ჰანუას წყარო, იაკოფის წყარო, ჟანტის წყარო, ქვიტკირის წყარო, შვინდის წყარო (გამოდის შვინდის ძირში)“ (იმნაიშვილი, II, 1974, გვ. 117).
4. „ვაკისსოფელი ნასოფლარი ადგილია, უწინ ქველთა რქმევია“ (სალარიძე, 1978, გვ. 207).
5. „ეს ხუცის სოფელი იყო და მემრე სიონი დაარქვეს“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ. 312).
6. „სოფლის შუაგულში არის ადგილი რომელსაც ხატის კარი ანუ „ხატიაკარი“ ჰქვია (ჩაწერილია სოფელ ზერტში). ერთი და იგივე სიტყვა ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია, როგორც თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (ხატის), ხოლო მეორე შემთხვევაში კი ხმოვანფუძიანი მსაზღვრელია (ხატია).
7. „ბერშუეთის მახლობლად კიდევაც ადგილი, რომელსაც შეარქვეს ღარის მიწები“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში).
8. „იქვე დაუმარხიათ და მერე იმ ადგილსა ჯიორას ველს ეძახდნენ“ (ჩაწერილია სოფელ კიბალში).

ჩვენს მიერ გაანალიზებულ საილუსტრაციო მაგალითებში დადასტურდა სუბსტანტიური მსაზღვრელი ტოპონიმებში, რომელიც აქტიურად გამოიყენება. მართული მსაზღვრელი ტოპონიმებში პირდაპირი წყობით დასტურდება (რუსის ჭალა, ბაღის ქედი, ხუცის სოფელი). წარმოდგენილია როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი მართული მსაზღვრელი ტოპონიმებში. ხმოვანფუძიანი მართული მსაზღვრელი (წოწოლას სერი, დანელას წყარო), თანხმოვანფუძიანი მართული მსაზღვრელი (გილდარის მიწა, იფნის წყარო, ღარის მიწები).

დასკვნა

1. ნაშრომში გაანალიზებულია და შეძლებისგვარად შესწავლილია მსაზღვრელ-საზღვრული ქართლურ დიალექტში.
2. ქართლურ დიალექტურ მასალაში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ მოვლენებზე დაკვირვება წარმოადგენს კვლევის საგანს, მოცემულ დიალექტში გამოვლინდა მსაზღვრელ-საზღვრულის საინტერესო თავისებურება სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. წინამდებარე ნაშრომმა ცხადყო, თუ რა მრავლისმომცველი

და მდიდარია ქართლური დიალექტი ჩვენთვის საინტერესო საილუსტრაციო მაგალითებით.

3. ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად ქართლურ დიალექტში ატრიბუტული მსაზღვრელი გადმოცემულია არსებითი სახელით, ზედსართავი სახელით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელით, მიმღეობით, მაგრამ შეინიშნება განსხვავებაც, კერძოდ, ჩვენებითი ნაცვალსახელი გვხვდება ხმოვნის სახით: **ი შვილი, ე ყანა**, რომელიც გულისხმობს **ის შვილი, ეს ყანა**.

4. ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის საკითხის კვლევისას ქართლურ დიალექტში დადასტურდა როგორ ძველი ვითარება, ასევე თანამედროვე ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. მაგალითად: დასტურდება საზღვრული წევრის გავრცობა ა ხმოვნით (**რგვალ ხესა**), შეინიშნება ხმოვანფუძიან საზღვრულთან ი ხმოვნის დართვა (**ლამაზი გოგოი**), ი ამავე დროს გვხვდება **ი** (იოტიანი) ფორმებიც (**ერთი ბეწოი**), ამ შემთხვევაში დაცულია ძველი ვითარება, რომელიც უფრო მეტად დასტურდება ცენტრალურსა და დასავლურ ქართლურში.

გვხვდება აგრეთვე, კილოკაური ნაირსხეობის მიხედვით ბრუნვაში შენთანხმების დარღვევის ტენდენცია, რომელიც დასტურდება ცენტრალურ ქართლურში (**სამი ყაჩაღსა**) და ქართლური დიალექტის სხვადასხვა ხეობის მეტყველებებში: წერაქსიონურ და რეხის მეტყველებებში (**დიდი ძმამ**), ბორჯომის ხეობაში (**საწყამი კაცმა**). უნდა აღინიშნოს კასპის მეტყველების თავისებურებაც, სადაც დადასტურდა შებრუნებული წყობა, პოსტპოზიციური მსაზღვრელ - საზღვრულისა (**ქარი დიდმური** - დიდმური ქარი, **საორაგულე მცხეთური**— მცხეთური საორაგულე), ასევე გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული (**კუდა აზნაური მეტეხური**—მეტეხური კუდა აზნაური, **წყლის ხერხი ატენური**— ატენური წყლის ხერხი).

5. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ერთ საზღვრულთან დაკავშირებული რამდენიმე მსაზღვრელი, სადაც ატრიბუტულ მსაზღვრელად პირველ ადგილზე დასტურდება ზედსართავი სახელი („**ძველი ცხვრის მატყლი მშრალია**“), რიცხვითი („**ათი ურემი ხორბალი**“) და ხშირია კუთვნილებითი

ნაცვალსახელის გამოყენება („ჩვენი სოფლის ბატონმა“). გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა პირველ ადგილზე წარმოდგენილია სუბსტანტიური მსაზღვრელი და შემდეგ ატრიბუტული („ოჯახის უფროსი წევრი“).

6. ქართულ დიალექტში დამკვიდრებული ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელი გამოვლინდა ტოპონიმებში. ატრიბუტულ მსაზღვრელიანი ტოპონიმებში დასტურდება: ცალკე მდგომი მსაზღვრელი (**ბერშოულა მდინარე**), საზღვრულთან ერთად შერწყმული მსაზღვრელი (**დიდვაკე**), -იან სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები (**კაკლიანი**). მსგავსი ტოპონიმები დასტურდება ფრონეს ხეობის ქართლის მეტყველებაშიც (**შავჭალები, მშიერი მამული**). მართული მსაზღვრელი ტოპონიმებში პირდაპირი წყობით დასტურდება (**რუსის ჭალა**). გვხვდება როგორც ხმოვანფუძიანი (**დანელას წყარო**), ისე თანხმოვანფუძიანი მართული მსაზღვრელი ტოპონიმებში (**იფნის წყარო**).

7. ქართულ დიალექტში დადასტურდა სუბსტანტიური მსაზღვრელის საზღვრულთან ურთიერთობის რამდენიმე შემთხვევა: მართული მსაზღვრელი, მართულ-შეთანხმებული და ემფატიკურხმოვნიანი მართული მსაზღვრელი. ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით ქართულში გვხვდება ისეთი ფორმები, როდესაც დაკარგულია სუბსტანტიური მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილი და იგი გარეგნულად დამსგავსებია ატრიბუტულ მსაზღვრელს, შინარსობრივად და მისი პირვანდელი ვითარების გათვალისწინებით ის სუბსტანტიური მსაზღვრელია, მაგალითად: **თოფი ხმა (თოფის ხმა), გზი ფული (გზის ფული), ლახტი წრე (ლახტის წრე)**.

ქართულ დიალექტში ემფატიკურხმოვნიანი მართული მსაზღვრელის მაგალითებია: **თამარ დედოფლისაი, ჩრდილი გორიჯვრისაი**. არაგვის ხეობის ქართლის მეტყველებისაში წარმოჩინდა ისეთი შემთხვევებიც, როცა ემფატიკურ ა ხმოვნის მაგივრად -ი-ს ვხვდებით: **საყურ-ბეჭედი ოქროსი**.

ბორჯომის ხეობაში კი დასტურდება მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელ - საზღვრული. მაგალითად: ეს **ადგილი** ყოფილა **ბატონისა**, იგი უმეტესად ქართული სალიტერატურო ენის მსგავსად არის წარმოდგენილი: **ნაბდები მატყლისა, კრაოტები რკინისა, ფიცრისა**.

8. აღწერითი და შედარებითი მეთოდის გამოყენებით შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ და გამოვიკვლიეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მასალა. ასევე, მოძიებული მასალა შევუდარეთ სხვადასხვა მკვლევარების, ლექსიკონების და ჩვენს მიერ მოძიებულ მასალას.
9. შედარებითი მეთოდის საშუალებით ქართულ დიალექტში მსაზღვრელ - საზღვრულის ურთიერთობა, გადმოცემის საშუალებები, მისი საკლასიფიკაციო ნიშნები და სხვა შევუდარეთ თანამედროვე ქართულ ენას და აგრეთვე, თვითონ ქართულ დიალექტის მოცემულ კილოკავებსა და თქმებში გადმოცემულ ნაირსახეობებს. ამ ანალიზის საფუძველზე დადასტურდა ბევრი მნიშვნელოვანი და საგულისხმო სინტაქსური მოვლენა.
10. კვლევის პროცესში გამოვლინდა ისეთი მსაზღვრელ - საზღვრულის ურთიერთობის შემთხვევები, რომლის მსგავსი მაგალითები დასტურდება გამოქვეყნებულ ტექსტებში. მაგალითად: ლ. ნოზაძესთან გვხვდება მსაზღვრელის სახელობითის ფორმის გავრცელება მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში: **თელი გუნდას**, ხოლო გ. იმნაიშვილის მასალებში, რომელიც სხვადასხვა კერძოდ, წერაქვ-სიონურში, რეხისა და ბორჯომის ხეობის მეტყველებაში გვხვდება მსაზღვრელის სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ანგარიშს არ უწევს მსაზღვრულს: **დიდი ძმამ, საწყალი კაცმა**.
- ისევე როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, მრავლად გვხვდება რიცხვითი სახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეთანხმება ბრუნვაში საზღვრულ წევრთან, ანალოგიური შემთხვევები წარმოდგენილია ქართული დიალექტის თითქმის ყველა კილოკავში: **ორმა კაცმა, ერთმა ეშმაკმა**. ეს მოვლენს ეხება აგრეთვე, კუთვნილებით ნაცვალსახელით გადმოცემულ ატრიბუტულ მსაზღვრელსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვაობაც გვხვდება, როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ მოთხრობით ბრუნვაში ერთი მ-ს სახით გვხვდება: **ჩემა რაშმა, ჩემა ჰაჰამა**.
11. ემფატიკურხმოვნიათი გენიტური მსაზღვრელი იშვიათად დასტურდება ქართულ დიალექტში, როგორც ჩანს ის ატენის ხეობის მეტყველებისათვის უფრო არის დამახასიათებელი (ღლონტი, 1980, გვ. 109).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ანტონ I, 1885** - ანტონ I, ქართული დრამატიკა, შედგენილი ანტონ პირველის მიერ, ტფილისი, 1885.
2. **ბაბუნაშვილი, 1970** - ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970.
3. **ბერიძე, 1988** - ბერიძე გრ., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988.

4. **ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე, 1981**- ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1981.
5. **გაბუნია, 2016** - გაბუნია კ., მარტივი წინადადების ანალიზის პრინციპები თანამედროვე ქართულში, თბილისი, 2016.
6. **გაჩეჩილაძე, 1970** - გაჩეჩილაძე პ., ქართლურის სალექსიკონო მასალა: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, თბილისი, 1970.
7. **გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961** - გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, „მეცნიერება“, I, თბილისი, 1961.
8. **დავითიანი, 1973** - დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, №24, 1973.
9. **თოფურია, 1956** - თოფურია ვ., ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I (ვ. თოფურიას რედაქციით), თბილისი, 1956.
10. **იმნაიშვილი, I, 1974** - იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, გამოკვლევა I, თბილისი, 1974.
11. **იმნაიშვილი, II, 1974** - იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, ტექსტები II, თბილისი, 1974.
12. **იმნაიშვილი, 1956** - იმნაიშვილი გრ., ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, თბილისი, 1956.
13. **იმნაიშვილი, 1953** - იმნაიშვილი გრ., არაგვის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი, 1953.
14. **კახაძე, 1953** - კახაძე ო., ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი, 1953.
15. **კვაჭაძე, 1954** - კვაჭაძე ლ., წინადადების წევრები ქართულში, პედაგოგიკური ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1954.
16. **კვაჭაძე, 1988** - კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1988.

17. **კიზირია, 1974** - კიზირია ა., ქართული ენა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974.
18. **კიზირია, 1946** - კიზირია ა., ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობა საზღვრულთან ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
19. **კიზირია, 1997** - კიზირია ა., ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 1997.
20. **კობერიძე, 2012** - კობერიძე მ., ზედსართავსახელიანი ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართლურში: რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXXII, თბილისი, 2012.
21. **კობერიძე, 2017** - კობერიძე მ., ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები: ახალი ქართული ენა, დიალექტების მორფოლოგია, პარადიგმები, წიგნი IV, გიორგი გოგოლაშვილისა და ავთანდილ არაბულის რედაქციით, თბილისი, 2017.
22. **კობერიძე, 2008** - კობერიძე მ., სახელთა ბრუნების ზოგი საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში: იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის შრომების კრებული, საზრისი, №24 თბილისი, 2008.
23. **მარტიროსოვი, 1973** - მარტიროსოვი არ., კუთვნილებითი ნაცვალსახელი მსაზღველად ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, თბილისი, 1973.
24. **მარტიროსოვი, 1972** - მარტიროსოვი არ., ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972.
25. **მენტეშაშვილი, 1970** - მენტეშაშვილი ს., ქართლური სალექსიკონო მასალა: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, თბილისი, 1970.
26. **მესხიშვილი, 2006** - მესხიშვილი მ., ქართლური ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 2006.
27. **ნოზაძე, 1970** - ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტური მასალები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, თბილისი 1970.

28. **სარალიძე, 1970** - სარალიძე თ., ქართული ლექსიკიდან, მასალები ლექსიკონისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, თბილისი, 1970.
29. **სარალიძე, 1978** - სარალიძე თ., ალგეთის ხეობის ქართული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.
30. **უთურგაძე, 2008** - უთურგაძე თ., ორმხრივ ნიშანდებულ სინტაქსურ ურთიერთობათა გადასვლა, ცალმხრივ ნიშანდებაზე: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIV, 2008.
31. **ფეიქრიშვილი, 1996** - ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოების „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1996.
32. **ღლონტი, 1980** - ღლონტი ალ., ფილოლოგის ჩანაწერები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1980.
33. **ყიფიანი, 1882** - ყიფიანი დ., ახალი ქართული გრამმატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილისთვის, სანკ-პეტერბურგი, 1882.
34. **შანიძე, 1973** - შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, II გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1973.
35. **ჩიქობავა, 1930** - ჩიქობავა არნ., რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?: ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“, №5, თბილისი, 1930.
36. **ძოწენიძე, 1973** - ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, ქუთაისი, 1973.
37. **ჯანაშია, 1959** - ჯანაშია ს., მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.
38. **ჯორბენაძე, 1989** - ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, ტ. I, თბილისი, 1989.

დიალექტური ტექსტები

სოფლის ადგილების, მიწის ნაკვეთების სახელები

ბერშოულა

ჩვენს სოფელსა აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოუდის მდინარე „ბერშოული“, ამ მდინარის გარშემო თუ რაიმე ნაკვეთია და ბაღი, ყველასა ქვია „ბერშოულა“. თითონ სახელი ბერშოულა დაერქვა მეზობელი სოფლის სახელისგან, რომელსაც ბერშუეთი

ქვია. ამ სოფლის თავიდან იღებს სათავეს ეს მდინარე. სოფლის სახელს კი ერთ ბერსა უკავშირდება, რომელსაც შურა ერქვა (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა აკოფაშვილი 65 წლის).

ღარის მიწები

ბერშოულას მახლობლად კიდევაა ადგილი, რომელსაც შეარქვეს „ღარის მიწები“, ესე იმიტომ ეძახიან, რომ ამ მდინარიდან ჩვენს წინაპრებს თიხის ღარით გადაჰყავდათ წყალი, ეხლა ის ღარი აღარ არის, იმის ადგილზე კი რკინის მილებია, სახელი კი იგივე დარჩა „ღარის მიწები“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა აკოფაშვილი 65 წლის).

სიმუას მორევი

სოფლის სამხრეთით არის ადგილი, რომელიც ცოტა დაბალი ადგილია, ჩავარდნილია და იმასა ეძახიან „სიმუას მორევსა“. წინათი ამ ადგილასა დიდი წყლის ტბორე ყოფილა, რომელიც ვიღაც სიმონას ეკუთვნოდა. გასაბჭოების დროსა სიმონასთვის წაურთმევიათ ის ადგილი და კოლექტივს მიუსაკუთრებია, მერმე იქ ნარგავები დაურგავთ, ის მორევი კი ამოუშვრიათ და ადგილის სახელად „სინუას მორევი“ დარჩა (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა აკოფაშვილი 65 წლის).

პარკიამკიდე

„სიმუას მორევი“ სოფლიდან ცოტა მოშორებით არის და იქიდან წამოსული ხალხი დარღლილ-დაქანცულები რო იყვნენ ისვენებდნენ ერთ ადგილზე და ცოტა მინდვრის მოსავალიც მოქონდათ ხოლმე. გზის გასაგრძელებლად რო ადგებოდნენ ერთმანეთს სთხოვდნენ:-პარკი ამკიდეო, ასე დაერქვა ამ ადგილსაც „პარკი ამკიდეო“ (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა აკოფაშვილი 65 წლის).

სახასო

ჩვენს სოფელში არსი კიდევ ერთი ტერიტორია, რომელსაც „სახასოს“ ეძახიან. ეს ადგილი თურმე ძველად ჩვენი სოფლის აზნაურს ეკუთვნოდა, იმიტომ რომა აქ მოდიოდა საუკეთესო ჭირნახული, სახელიც აქედან წარმოდგება. სახასოც თურმე კარგს საუკეთესოს ნიშნავდა, მერმე კოლმეურნეობამ წართვა აზნაურებს ეს მიწები და კოლექტივის საკუთრება გახდა. ეხლაა ის ადგილები მოსახლეობას აქვს

დანაწილებული. ჭირნახულს არ თესავენ მაგრამ რასაც დასთესავენ ბოსტნეულს ყველაფერი კარგი მოდის (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა აკოფაშვილი 65 წლის).

ხატიაკარი

სოფლის შუაში არის ადგილი, რომელსაც ხატის კარი ანუ „ხატიაკარი“ ქვია. ეს მიწები ხატსა ეკუთვნოდა. ამ მიწების სათავეში ძალიან დიდი ხნის ნერგი იდგა, ალბათ რამდენიმე საუკუნისაა. ამ ნერგის ქვეშა დღესაც არის ნიში, სადაც დღესასწაულს მართავენ ხოლმე სოფლის მოსახლეობა და სანთლებანთებული უვლიან გარშემო ამ ნიშსა, აქვია ძველი ქვევრები, სადაც ღვინოს აღენებდნენ ამ სოფლის მცხოვრები ტიელიძეები, საკლავსაც კლავდნენ ხოლმე და იმ ქვევრის ღვინოს ახლად დაყენებულს სვამდნენ. ამ დღესასწაულზე კიდევ კოცონს ანთებენ ხოლმე, რომელიც მთელი ღამე ენთო და მთელ სოფელში მოგროვილ ფიჩხს წვავენ (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა აკოფაშვილი 65 წლის).

ჯიორას ველი

ჩვენ სოფელში ადრე გაჩენილა ჭირი, რამდენიმე ადამიანი მომკვდარა ამ ჭირისაგანა. აქა ერთი მარტოხელა კაცი ყოფილა ჯიორა რქმევი, ხოდა ამ ჯიორას თავის თავი ძალიან ჰყვარებოდა უთქვია: მე აქ თქვენთან არ მოვიკმავ თავსაო, ამის შედეგ ე კაცი ტყეში გახიზნულა მარტოკა. ხანი რომ გავიდა და სატკივარმა გადაიარა, სოფლიდან მონადირეები სანადიროდ წასულან და იმათ ერთ ვაკე ადგილზე უნახამთ მკვდარი ჯიორა. იქვე დაუმარხიათ და მერე იმ ადგილსა ჯიორას ველს ემახდნენ. ეს ვაკე ამ ჩვენი სოფლის ტყეშია (ჩაწერილია სოფელ კირბალში, მთქმელი: ნელი აბალაკი 67 წლის)

ტრადიციები

კორკოტობა

კორკოტობის დღე რო გამოვთვალოთ აღდგომიდანა შვიდი კვირა უნდა გადავთვალოთ უკანა. ხორბალი უნდა გავარჩიოთ კორკოტისათვისა, გარჩეული

დავალბოთ ცოტახანი, ხოლო დამბალი შემდეგ უნდა დავბეგოთ. ქერცლი გადაეცლება, გავფენთ, გავაშრობთ ხორბალს, მერე უკვე ავბერტყამთ. გასუბთავებულსა შევდგამთ ცეცხლზე პარასკებს დილითა, როცა გასუფთავებულ ხორბალს ჩავყრით ქვაბში სანთელი უნდა დავანთოთ და ხორბალი მუჭა-მუჭა უნდა ჩავყაროთ და თან ჩვენი მიცვალეზულების სახელები ჩამოვთვალოთ. კარაგდ უნდა მოვხრაშოთ ხორბალი, რადგან ძნელად იხარშება, მერე ღამე გადმოვდგამთ და შევფუთავთ, რათა მეორე დილით თბილი იყოს ისევა. შაბათ დილით მერე გაუკეთებთ რძის ფუასა, ზოგი არ უკეთებს და კენტი თეჭში უნდა გავიტანოტ მეზობლებში (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა რევაზაშვილი 81 წლის).

აღებლამეობა

აღებლამესა ქადას ვაცხოვდით ხოლმე, ღორის თავი, ქათამი, თუ ტკბილი გვქონდა რამეი, გავაკეთებდით დავსხდებოდით ოჯახი და ვიქეიფებდით. აღებლამე კვირა დღეს იყო, ორშაბათსაა ყეინობა იყო ხოლმე, ყეინადა ახალ ნეფე კაცს დააყენებდნენ, მოგროვდებოდნენ, იქეიფებდნენ და ამითა უკვე მთავრდებოდა ხსნილი და მარხვა იწყებოდა მერე. აღებლამის ნასუფრალს რო აალაგებდნენ, მაგიდას რო გადმოსწმენდავდნენ, იმ ნამცეცებსა შეახვევდნენ ნაჭერში, ანა სალფეტკში, ჩუმად დაუდებდნენ გოგოსა, ისე რომა არ უნდა იცოდეს და ღამე ძილში ნახავდა საბედოსა.

საბედოს ნახვა სიზმარში შეიძლება კვერის ჭამითაცა. მაგრამა ამასაცა თავისი დღე აქვს. კორკოტობის წინა კვირას ხუთშაბათი დღე რომ იქნება მაშინ უნდა გაკეთდეს ეს კვერები. ეს კვერები მარილისგან კეთდება: ერთი სათითე მარილი უნდა, ორი სათითე ფქვილი უნდა, მოზელამ, ფეჩში შესდებ და გამაცხოვ, ეს კვერები ხუთშაბათს ღამე უნდა შეიჭამოს ძილის წინა, სანამ ამ კვერების ჭამას გადაწყვეტდნე მანამდე მარხულობდნენ სუფსარქისის მარხვასა, ხუთი-ექვსი დღე უნდა შეინახო მარხვა (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა რევაზაშვილი 81 წლის).

ქუმელობა

იყო კიდე ქუმელობის ტრადიცია, ქუმელობა პარასკევს იყო ხოლმე. ქუმელის გაკეთების დროსა ხორბალი კარგად უნდა გავრეცხოთ, გავასუბთაოთ. დავხლიდით ხორბალსა, დახლილსა დავფქვამდით, გავცრიდით, თუ გვქონდა თაფლი, თაფლით

აურევდით, თუ არა და შაქარ წყლითა. შიგა მერე ქიშმიშსა, გორგოლა კამფეტები იყო ხოლმე, დრეჟი კანფეტი იმიებსა ვუზამდით, მერე ამ ველაფერსა და თუ გვექონდ კარგი შოკოლადი იმსასაცა დავდებდით ლამბაქზე და ისე გავიტანდით მეზობლებში (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა რევაზაშვილი 81 წლის).

სახლთანგელოზობა

აღებლამეობისა და ქუმელობის შუა ხუთშაბათსა, კორკოტობამდე იყო სახლთანგელოზობა ანუ სახლის ანგელოზი, მთავარანგელოზობა სხვა და სახლთანგელოზობა სხვაა. მაშინა იმ დოროსა ქათამს დაჰკლამდენ, ტკბილს გააკეთებდნენ, ერბოს ქადას გამააცხობდნენ. იმ ერბოს ქადასა და სხვა ყველაფერს მხოლოდ ოჯახის წევრებსა უნდა ეჭამათ და დაელოცათ ოჯახი, სანთელი აენტოთ, კუთხებში შემოეტარებინათ ანთებული სანთელი, ამასა აკეთებდა ოჯახის უფროსი წევრი (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: მაყვალა რევაზაშვილი 81 წლის).

ქორწილი წინათა

ახლა ქორწილი სულ სხვანაირი იციან, წინათ კიდევ უფრო ბევრი ტრადიციები იყო დაკავშირებული ქორწილთანა. მაგალითად, წინათა ქორწილში ცხვებოდა ჯვრის პური, რომელსაცა ჯვრის ფორმა ქონდა. ეს პური ბიჭის მეჯვარეს უნდა ეყიდნა და მიჰქონდა დედოფალთანა საჩუქრად. კიდევ ცხვებოდა უხა, თხელი, ძალიან თხელი ლავაშები, უხის ცომი იზილებოდა რძითა, ცხიმითა, კარქი მაგარი ცომი უნდა მოიზილოს, არც გაღვიება უნდა, არც არაფერი, პატარა გუნდები უნდა გაკეთდეს, უხასა აცხობდნენ იმიტომა რომ გაეყიდათ პურის მცხოვლებსა და ფულსა შოულობდნენ ამითი, თანა გასართობი იყო ვინ უფრო მეტს დაცხობდა.

მერე იმ ქორწილში ბიჭის დედას ათამაშებდნენ, თავშალს დახევენ. გოგოსთან გოგოს დედას დაუხევენ თავშალს და ტაციაობა იყო ხოლმე იმ თავშლის ნახევებზე, ახალგაზრდები თავქვე იდებდნენ ხოლმე დახეული თავშლის მონახევს.

ქორწილში წინათა იცოდნენ რაღაცების მოპარვაცა, ხოგი თეფშს იპარავდა, ზოგი ჩანგალსა, ზოგი ქათამსაც იპარავდა. მოპარული მიქონდათ მეორე დღესა გოგოს ოჯახში, დედოფლის ნათესავები იპარავდნენ.

ნეფე რომ მოდიოდა პატარძალის წასაყვანადა ჩალაგებულს გამაატანდნენ გოჭსა, მწვადსა, ქათმის ხორცსა, ხაჭაპურსა. ამასა ერქვა იახტანი. ამ იახტანსა აბარებდნენ მთავარ მაყარსა, მეორე დღესა როცა უნდა აშლილიყვნენ წამოსვლისასა უკვე მაყრები, თამადა წამოდგებოდა იტყოდა მაყრების სადღეგრძელოსა და მაშინ უნდა ჩამოეტარებინათ იახტანი, ჩამოატარებდნენ იახტანსა თითო ნაჭერს ყველა იღებდა ღვინოს უსხამდნენ და ილოცებოდნენ ხოლმე (ჩაწერილია სოფელ კირბალში, მთქმელი: ციციხო თაყაძე 70 წლის).

ძველი თამაშები

ლახტი წრე

ძველათ იყო ერთი თამაში სახელად ლახტი წრე, ეს თამაში ითამაშებოდა ქამრებითა. ამ თამაშს უფრო დიდები თამაშობდნენ ხოლმე, შემოხაზავდნენ წრეს მრგვალად, შიგნითა წრეში აწყობნენ ქამარსა, ამ წრეში იდგნენ ბიჭები. რამდენი ბიჭიც იყო იმდენი ქამარი ლაგდებოდა, ყველას თავისი ქამარი ქონდა და უნდა ეპატრონა ამ ქამრისთვისა. შემოხაზულის გარეთაც იყვნენ მოწინაღმდეგე ბიჭები. ამ ბიჭებსა უნდა წაერთმიათ შიგნითებისთვისა ქამარი. ეს ბიჭები თავს დასხმებოდნენ ქამრებს და ხელით იტაცებდნენ, ქამრის მეპატრონე ბიჭები კი თავდამსხმელებს ფეხით იგერიებდნენ. თუ მოხდებოდა ქამრის მოპარვა მაშინ უკვე გარეთა ბიჭები ლახტს ურტყამდნენ კოჭებშია შიგნითა ბიჭებსა. წრეში მყოფი ბიჭებს წრიდან გამოსვლის უფლება არ ქონდათ, წრიდან ერთი ფეხით შეეძლოთ გადახტომა და ისე დაჭრა მოწინაღმდეგე ბიჭებისა და თუ დაჭრიდნენ იტყობდნენ მუხლს ქვემოთა ვართო ანუ მუხლს ქვევით დაჭრაო, იყო აგრეთვე ლახტის გაგორება, გაგორების დროსა გამოქანდებოდა ერთი გადაკოტრიალდებოდა და ასე გადაგორებით გამოაცლიდა ქამარსა (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: რევაზაშვილი ლოვა 73 წლის).

პოლტაობა

პოლტაობის დროს იხატებოდა ხუთი უჯრა ორ სვეტად და ზემოდან წრიულად ქონდა თაღები. ეს ხუთი უჯრა ნიშნავს ათ კლასსა, პოლტაობის თამაშისას მთავარია პოლტი ანუ ქვა, ეს ქვა შეიძლება ყოფილიყო კრამიტის ნატეხი ან ბრტყელი ქვა.

პირველი კლასი რომ გადაელახა მოთამაშეს, პოლტი უნდა ჩაეგდოთ პირველ უჯრაში და ასკინკილა გადაეტანა მეორე უჯრაში, მეორედან მესამეში და ასე ბოლომდე, როცა ბოლო უჯრაზე მივიდოდით უნდა გადაგვეგდო უჯრიდან ისევ ასკინკილით, ცალი ფეხით. თან უჯრის ხაზზე არ უნდა გაჩერებულიყო ფეხით ნასროლი პოლტი, მეორე კლასის დროსა მეორე კლასში უნდა ჩაგვეგდო პოლტი. ბოლოსა მეათე კლასაც რომ გაივლიდნენ წარმატებითა, მერე იყო გამოცდაი. უჯრების ზემოთ, რომ მრგვალი თალებია იქაც უნდა წარამატებით გაეტანათ პოლტი, რომელიც ასე წარმატებით გაივლიდა კლასებს პოლტითა ის იყო გამარჯვებული (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: რევაზაშვილი ლოვა 73 წლის).

სხვადასხვა ამბები

ბაზრობა

ჩვენ მეზობელ სოფელში მეჯვრისხევში იყო ხოლმე კვირაობით ბაზრობა. მეზობლის კაცი გიორგი ყოველ კვირას მიდიოდა ხოლმე იმ ბაზრობაზე და გოდრებით მიქონდა გასაყიდები. ურემში შეაბამდა ხარებს და დატვირთული ურმით გაუდგებოდა სოფლის გზასა. თუ ადგილი რჩებოდა მეზობლებიც მიყავდა ხოლმე. კალათებით კვერცხს, ქილებით მაწვნებსა და ფეხებშეკრულ ქათმებს წაიყვანდნენ, მაგრამ სულ ჩიოდნენ ამ ბაზრობაზე, ურია ვაჭრები არიან მოდებული და ყველაფერი მუქთად უნდათო. ეს ურია ვაჭრები სოფელში კარდაკარაც დადიოდნენ და ყიდიდნენ ათას კონკსა, სოფლის ქალები ყიდულობდნენ ფერად-ფერად თავშლებსა, ისე ნაჭრებს და მიჰქონდათ ხოლმე მერე მკერავთან შესაკერად კაბისა. ვისაც ფული არ ქონდა ისინი ფულის მაგიერ პროდუქტს აძლევდნენ ვაჭრებს.

ურმის გზა მიდიოდა ხოლმე დუბეებისკენ, დუბეები ჩვენის სოფლის მიწის ნაკვეთის სახელია. ერთხელ აქ დახვდნენ ყაჩაღები გიორგასა და სხვებს და მთელი ნავაჭრი ფული წართვეს საწყლებს (ჩაწერილია სოფელ ზერტში, მთქმელი: რევაზაშვილი ლოვა 73 წლის)

დაბანის საშუალებები ძველად

წინათა არც სარეცხის საშუალებები ყოფილა და არც შამპონები, არც საპნები, ხო და ქალები სახლში ხარშავდნენ საპონს, თითქმის ყველა კლავდა სახლში ღორსა და

ღორის ქონით და სოდთ აკეთებდნენ ამ საპონს. ქვაბში ჩაყრიდნენ ქონს, სოდას, დაასხამდნენ წყალსა და მოადურებდნენ, მერმე მოდულებულსა ჩასხამდნენ ტაშტებში, რო გაცივდებოდა ჭრიდნენ ნაჭრებად და ახმობდნენ მზეზე.

თავის დასაბანად კი შრატსა ან დოს იყენებდნენ. დო შემდეგნაირად კეთდებოდა, მას საჭმელად უფრო ხმარობდნენ ხოლმე. მაწონს რო შედღვებამდნენ, კარაქს ამოიღებდნენ და რაც დარჩებოდა მაწონი ათქვეფილი და წყალგარეული ეს იყო დო და რაც უფრო მჟავე იყო დო მით უკეთესი იყო დასალევად (ჩაწერილია სოფელ კირბალში, მთქმელი: ციცილო თაყაძე 70 წლის).

მლოცავი

ძველად ცხოვრობდა ერთი მლოცავი ქალი, ელისო რქმევი. ბავშვები რო ტიროდნენ ხოლმე და ვეღარ აჩუმებდნენ იმ ქალტან მიყავდათ. ე ქალი წინ დაიდგამდა წყალსა, ხელში დაიჭერდა ნახშირსა და პატარა დანასა, რაღაცის ბუტბუტს დაიწყებდა ხოლმე. თან მთქნარებით კვდებოდა და ამბობდა ბავშვს თვალი აქვს აღებულიო ან შემინებულიო. მერე ამ ნახშირსა წყალში ჩააგდებდა ხოლმე, ისევ ამოიღებდა და ბავშვის პატრონს აძლევდა, თან დარიგებდა, რო ბავშვის ბალიშის ქვეშ თავთან დაედო ე ნახშირი. კიდევ რაღაც ბალახის ნახარშს აძლევდა დასალევად, მგონი კატაბალახს ნახარში იყო, ის ამშვიდებდა ბავშვს და ჩუმდებოდა. ამ მკითხავს ქონდა კიდე ფერადი ძაფებისგან დაწნულ თოკზე თავისივე ხელით გამოთლილი ჯვარი, რომელსაც პატარას ყელზე კიდებდნენ ხოლმე. ე ქალი საქონელთანაც დაყავდათ ხოლმე, წველას რო მოუკლებდა საქონელი უმიზეზოდ ან რაიმეს გამო საქონელს ულოცავდა ხოლმე და ამბობდა: ავი თვალი აქვს ნაცემიო (ჩაწერილია სოფელ კირბალში, მთქმელი: ნელი აბალაკი 67 წლის).